ვერსია

№16 (1606) 27 აპრილი — 3 მაისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის თბილისური სიყვარულის ამბავი

„მელიას შეუყენეს წყალი, სააკაშვილი საცოდავი პერსონაა“

ენმ-ის ინტრიგები და კულუარები

„უდიდეს გულისტკივილს იწვევს ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

თბილისის ფსიქიატრიული კლინიკების კოშმარები

„სილა გამაწნეს, რამდენჯერმე თმაშიც მწვდნენ“ – რას იხსენებს ძალადობის მსხვერპლი პაციენტი

„B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ასრულებს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2022 წლის 26 აპრილიდან, „B“ და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა.

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მსურველები პრაქტიკული გამოცდის ახალი სტანდარტით ჩაბარებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცხრა სტრუქტურულ ერთეულში შეძლებენ. თუმცა, ამ ეტაპზე, მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის სამსახურში, ქალაქის გზებზე მიმდინარე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, კანდიდატები ვერ შეძლებენ მართვის უფლების მისაღები გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარებას შესაბამისი სამუშაოების დასრულებამდე.

პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო მარშრუტების შესაბამისად ჩატარდება. თითოეული საგამოცდო სამსახურისთვის შემუშავებულია რამდენიმე საგამოცდო მარშრუტი.

ცვლილებების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი ჩატარდება დახურულ მოედანზე, ხოლო მეორე ეტაპი – რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში.

მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს, გავიდეს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, დაინტერესებული პირი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან, არაუადრეს 15 დღისა. ასევე, მძღოლობის კანდიდატს საშუალება ექნება, ისარგებლოს დაჩქარებული მომსახურებით, რომლის ღირებულება განისაზღვრება 160 ლარით და პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მეორე ეტაპზე, 15 დღეზე ადრე გავიდეს.

პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის გამოცდაზე გასასვლელად საჭიროა, დაინტერესებულმა პირმა დაჯავშნოს რიგი. რიგის დაჯავშნა შესაძლებელია, როგორც სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში, ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდის, მობილური აპლიკაციის ან სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით. მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამოცხადდეს რიგის ჯავშნით გათვალისწინებულ დრომდე, 15 წუთით ადრე.

საქართველოში ფარული მიყურადებისა და თვალთვალის წესი იცვლება

საქართველოში ფარული მიყურადებისა და თვალთვალის წესი იცვლება. მთავრობამ უკვე წარადგინა ინიციატივა პარლამენტში, სადაც დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, რომელიც ხელისუფლებას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს მნიშვნელოვნად უადვილებს და ვადებს უზრდის.

დღეს მოქმედი კანონის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მაქსიმალური ვადა ექვსი თვეა, ხოლო ახალი ცვლილებებით, ფარული მიყურადებისა და თვალთვალის უფლება, შესაძლოა, ცხრა თვემდე გაიზარდოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონკრეტული მუხლების შემთხვევაში, შესაძლოა, ეს მოსმენა და თვალთვალი განუსაზღვრელი დროითაც კი გახანგრძლივდეს.

ახალი კანონპროექტით იცვლება შემდეგი:

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ხანგრძლივობა იზრდება სამი თვით;

შეტყობინების წესი იმ პირისთვის, ვისაც სახელმწიფო უსმენს ან/და უთვალთვალებს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ადამიანმა ვერც ვერასოდეს გაიგოს, რომ მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდებოდა;

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დამატებით 27 სახის დანაშაულზე იქნება შესაძლებელი;

100 სახის დანაშაულზე ფარული მოსმენა შეიძლება უვადოდ გაგრძელდეს.

საქართველოში ფარული მოსმენისა და თვალთვალის ნებართვას გამოძიება იღებს მოსამართლისგან. არასამთავრობოების თქმით, იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება (მათ შორის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და HRW) მუდმივად საუბრობს საქართველოს სასამართლო სისტემის მიკერძოებაზე ხელისუფლების მიმართ, ამ კანონპროექტით, „მთავრობა ტოტალურ კონტროლს აკანონებს“.

ასევე, ახალი კანონის მიხედვით, 360-მდე იზრდება იმ დანაშაულების სია, რომელთა ფარგლებშიც, საგამოძიებო სტრუქტურებს შეუძლიათ მოქალაქეების თვალთვალი და მიყურადება, ხოლო პროცედურის „იმდენჯერ, რამდენჯერაც იარსებებს ამის სამართლებრივი საფუძველი“, გახანგრძლივება შესაძლებელი იქნება შემდეგი დანაშაულების გამოძიების პროცესში:

განზრახ მკვლელობა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა;

ტრეფიკინგი, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, მუქარა და სხვა;

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან რეალიზაცია;

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული (ხულიგნობა, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გასაღება, ცივი იარაღის ტარება და სხვა);

უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა;

პორნოგრაფიული ნაწარმის ან/და სხვა საგნის უკანონოდ დამზადება და გასაღება;

არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში. ასევე, ასეთი მასალის გავრცელებაში, რეკლამირებაში ან მისით ვაჭრობაში;

ნარკოტიკული დანაშაულები;

კომპიუტერული დანაშაულები;

კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა;

სამოხელეო დანაშაული;

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ;

კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები.

„მე, რაც განსაკუთრებით მომხვდა თვალში, არის კანონპროექტის ტონი და სიტყვათა წყობა: ვადები შეიძლება გაგრძელდეს „იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელია“. ასეთი შემტევი ტონი და სიტყვათა წყობა, მე პირადად, კანონპროექტში აქამდე არ ამომიკითხავს. ვინმეს რამე არ შეეშალოს, რასაც გვინდა, იმას ვიზამთ უფრო იკითხება, ვიდრე უფლებებზე ორიენტირებული ნება კანონმდებლისა“, – ამბობს GDI-ის ხელმძღვანელი, ადვოკატი ედუარდ მარიკაშვილი.

სპეციალური განცხადება გაავრცელა თერთმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამაც. მათი თქმით, ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო უარესდება.

არასამთავრობოების განმარტებით, კანონპროექტით შესაძლებელი ხდება, სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით მიმდინარე გამოძიების შემთხვევაში, მოქალაქეებს უვადოდ უსმინონ და მათ ამის შესახებ არ შეატყობინონ. არადა, არ არსებობს კანონით გათვალისწინებული კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი, ხოლო შემოთავაზებული ცვლილებები არსებითად აუარესებს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობის სტანდარტს.

„პირად ცხოვრებაში მასობრივი უკანონო ჩარევების ფონზე, ნაცვლად ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებისა, მმართველი გუნდი კიდევ უფრო მეტ საკანონმდებლო ბერკეტს ანიჭებს სამართალდამცავ ორგანოებს. აღნიშნული, კიდევ უფრო ზრდის თვითნებობისა და პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევის რისკებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ ვხვდებით კონკრეტულ დასაბუთებას და არგუმენტაციას, თუ რა გახდა ცვლილებების შემუშავების საჭიროება, ან ყოველდღიურ პრაქტიკაში რა პრობლემებს უქმნიდა მოქმედი კანონმდებლობა სამართალდამცავ ორგანოებს“, – წერია განცხადებაში.

„მელიას შეუყენეს წყალი, სააკაშვილი საცოდავი პერსონაა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ენმ-ის ინტრიგები და კულუარები

საქართველოს მთავარი ანუ ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპოზიციური პარტია, ბოლო დროს, დიდი მითქმა-მოთქმისა და განხილვის საგანია. საუბარია შიდაპარტიულ განხეთქილებაზე. როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი და მისი პარტიული გუნდი ნიკა მელიას ადანაშაულებს, რადგან არაფერს აკეთებს სააკაშვილის გასათავისუფლებლად; რომ სააკაშვილის თემა მინავლდა და პროცესები აქტიურ ფაზაში არ გადადის... ვინაიდან დემოკრატიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოპოზიციაში ჯანსაღი პროცესების მიმდინარეობაა, აღნიშნული თემა საზოგადოების განსჯის საგანი გახდა... რამდენად რეალურია ბრძოლა მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა მელიას გუნდებს შორის? „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– ვფიქრობ, პარტიაში მიდის ბრძოლა ძალაუფლების გადანაწილებისა და იერარქიაში შესაბამისი ადგილის მოსაპოვებლად. ზოგი ცდილობს, სააკაშვილის ფაქტორი გამოიყენოს ამ მიმართულებით და მიიჩნევს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება მისი გამოყენება, იგივე, მელიას წინააღმდეგ დაწყებული პარტიული ღონისძიებებისთვის იმიტომ, რომ ნიკა მელიამ არაფერი გაკეთა, რათა სააკაშვილი გამოსულიყო.

კიდევ, რა შეიძლება გაეკეთებინა? – ასე უნდა უპასუხოს მათ, ვინც ამბობს, რომ არაფერი გააკეთა.

მელია ამბობს, რომ არ აპირებს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, სხვა მხრივ, საპროტესტო აქციები, განცხადებები – ყველაფერი ეს მოსინჯა და უფრო მეტის გაკეთებას ვერავინ შეძლებს. ამიტომ, როცა მელიას აკრიტიკებენ, ძირითადად, ცდილობენ, სააკაშვილის ნდობა მოიპოვონ და სააკაშვილის მიმართ ერთგულება დაამტკიცონ ანუ ამით მომავალ არჩევნებში, გამსვლელ სიაში ადგილის მოპოვებას ცდილობენ.

– ესე იგი, ქულებს იწერენ სააკაშვილთან?

– დიახ, ოჯახს არ ვგულისხმობ, სადაც სხვა ფაქტორებია... პარტიაში კი სხვა დუღილი მიდის.

– შესაძლოა, რომ პარტიაში მიდიოდეს იდეოლოგიური ბრძოლა სტრატეგიის შესახებ და პარტიის ექსცენტრიული, რადიკალური ნაწილი პროცესების უფრო აქტიურ ფაზაში გადაყვანას ითხოვდეს?

– დიახ, რა თქმა უნდა, ამას იყენებენ. ეს ტაქტიკური პოზიციაა და არა – იდეური. როგორ შეიძლება, სააკაშვილის გათავისუფლება, ან მისი საზღვარგარეთ გაყვანა – ეს ტაქტიკის თემაა, სტრატეგიულიც კი არ არის, რადგან ძალიან მოკლე დროში უნდათ ამის გაკეთება.

ახსენეთ, უფრო ექსცენტრიულ ნაწილი, კი, მაგრამ ეს რადიკალიზმი ხომ უკვე იყო და რაც გაკეთდა მელიას ლიდერობით, ახალი ტაქტიკით, კიდევ მეტი რა შეიძლებოდა, გაკეთებულიყო?

– სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, მელიას მიმართ უკმაყოფილებას პარტიული რეორგანიზაციაც მოჰყვა, როდესაც მაღალი თანამდებობები სააკაშვილის ე.წ. ფრთის წარმომადგენლებმა – კობა ნაყოფიამ და პეტრე ცისკარიშვილმა დაიკავეს, თუმცა როგორც ჩანს, ამანაც არაფერი შეცვალა...

– ბავშვები არ არიან, 30 წელია, ამ ქვეყანაში ხელისუფლებებსა და ოპიზიციას შორის მუდმივი დაპირისპირებაა და რევოლუციურ ზღვარზე ვდაგავართ, მეტ-ნაკლები გამოცდილებაც დაგროვდა. მელიას შეუყენეს წყალი, ძალაუფლების გადანაწილება მოხდა, ნაყოფია, ცისკარიშვილი წამოვიდნენ, მაგრამ მათ რა უნდა გააკეთონ? რა შეუძლიათ იმაზე მეტი, რასაც მელია აკეთებდა? – არაფერი.

ამიტომ ვამბობ, ესაა ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ცისკარიშვილი პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოვიდა და ეს ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში, ის გამსვლელ სიაში იქნება.

– მოკლედ, საკუთარი ადგილებისთვის ბრძოლაა პარტიაში, თუმცა რადგანაც დემოკრატიულ ქვეყანაში მნიშვნელოვანია, ძლიერ ოპოზიციურ პარტიაში იყოს ჯანსაღი პროცესები, როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს სადამდე მივა? რა იქნება შედეგი?

– არ გამოვრუცხავ, რომ ნაწილი ჯგუფი ჩამოშორდეს ენმ-ს...

– მელიას გუნდს გულისხმობთ?

– თუნდაც... თუმცა ყველა ეცდება, მაქსიმუმი გააკეთოს იმისთვის, რომ დღეს არსებული პოზიცია შეინარჩუნოს ნაციონალურ მოძრაობაში, რადგან ამ პარტიას ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს, ხოლო თუ რომელიმე ჯგუფი გამოეყოფა ამ პარტიას, ისეთი რაოდენობის ელექტორატს ვერ წამოიყვანს, რომ 5%-იანი ბარიერი გადალახოს.

ამიტომ ენმ-ის ელიტაში ყოფნა არის გარანტირებული მანდატი 2024 წლის არჩევნებში. შესაბამისად, ყველა იტყვის, სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთო, მაგრამ 200 000-კაციანი ზეიმი, როგორც სააკაშვილმა თქვა, არ იქნება.

– ბატონო ვახტანგ, მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსია და როგორ ფიქრობთ, საპყრობილიდან ასე მარტივად უყურებს, როგორ იბრძვიან ძალაუფლებისთვის მის პარტიაში?

– ვერაფერს მოახერხებს სააკაშვილი. როცა ჩამოვიდა, ჩანდა, რომ სახიფათო პერსონა იყო ხელისუფლებისთვის. დღეს ის საცოდავი პერსონაა.

– რატომ?

– მეორე წრეზე წავედით, რომ ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და ა.შ. რაც შეეხება იმას, რომ ჭკვიანი პოლიტიკოსია, ეს სადავო თემაა.

– თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– არა, რადგან ტალღა, როცა ის მოვიდა ხელისუფლებაში, იყო სხვა და იქ ჩარჩა... 2003 წელშია ჩარჩენილი, პოლიტიკა კი ასეთ რამეს არ პატიობს.

– ე.ი. მიიჩნევთ, რომ თანამედროვეობას ფეხი ვერ აუწყო პოლიტიკაში?

– კი, 2013 წელს, სრულიად განსხვავებული პოზიციები უნდა დაეჭირა, როცა პრეზიდენტის პოსტი დატოვა და ის მოვიდოდა ისევ ხელისუფლებაში, მაგრამ მან არჩია მუდმივი შტურმი და ამასობაში შემოაცვდა იდეები, რეიტინგი და მივიღეთ ის, რაც დარჩა მისგან.

დღეს, საქართველოში დაპირისპირება და საპროტესტო ტალღა არ შედის ჩვენი პარტნიორების ინტერესებში. დღეს, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის საქმეების გარჩევისთვის არ სცალიათ, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს. ასეთივე განწყობაა მოსახლეობაშიც...

NDI-ს გამოკითხვა იყო საინტერესო იმ მხრივ, რომ დაეცა ენმ-ის რეიტინგი, „ოცნების“ საკითხი გასაგებია, მაგრამ, ზოგადად, პოლიტიკური სპექტრისადმი უნდობლობაა დღეს საქართველოში, ნიჰილისტური დამოკიდებულებაა და როცა ამ ვითარებაში ცდილობ, საპროტესტო ტალღით რამეს მიაღწიო, თავშივე განწირული მცდელობაა.

გასაგებია, რომ ციხეში ჯდომა კომფორტი არაა, მაგრამ როცა ჩამოდიოდა, ხომ იცოდა, რომ ასე იქნებოდა? – ეს უნდა გაეთვალა.

ხარვეზები და გადაცდომები რეგიონული განვითარების სააგენტოებისა და დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების საქმიანობაში

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

ტურიზმი სულ უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება და შესაბამისად, წლიდან წლამდე, სწორედ ამ სფეროდან მიღებული შემოსავლებიც იზრდება. ტურიზმის განვითარების პარალელურად, ქვეყნის რეგიონებიც ვითარდება, რაც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც სახელმწიფო აუდიტის სამსახური სწორედ მუნიციპალიტეტების მიერ, ერთობლივად დაფუძნებული არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირების – ააიპ ფინანსური მდგომარეობით დაინტერესდა. უფრო ზუსტად, აუდიტი ეხება ამ ააიპების საქმიანობას 2016-2020 წლებში. როგორც წესი, მუნიციპალიტეტები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან რეგიონებში არსებული პოტენციალის გამოვლენის, ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების მიზნით. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, რეგიონებში ერთობლივი ააიპ-ები შეიქმნა. რეალურად, ეს ააიპ-ები, იგივე DMO-ებია, რაც ასე იშიფრება – დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ამ ააიპ-ების საქმიანობა შეისწავლა, ცხადია, რომ მუნიციპალიტეტები მათ საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებენ.

„დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები“ ტურიზმის ხელშეწყობის, გნებავთ, რეგიონული განვითარების მიზნებისთვის შეიქმნა. ამ ორგანიზაციების წესდებების თანახმად, ისინი ხელს უწყობენ რეგიონის ტურისტულ ბრენდად ჩამოყალიბებას, ამუშავებენ რეგიონის განვითარების პროგრამებს ტერიტორიულ ჭრილში, რაც ხელს უწყობს კონკრეტული რეგიონის განვითარებას, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, მეწარმეების გასაძლიერებლად საჭირო ინფორმაციის-სერვისების მიწოდებას და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას. ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა, სწორედ „დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებში“.

ხარვეზები DMO-ების სამოქმედო გეგმებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ DMO-ების უმრავლესობის მიერ, სათანადოდ არაა შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისი, ყოველწლიური, დეტალური სამოქმედო გეგმები. პირიქით, სწორედ ამ დოკუმენტებში მხოლოდ ზოგადი სახითაა გაწერილი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა და არც კონკრეტული ამოცანებია განსაზღვრული, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები.

„დეტალური გეგმა არ ითვალისწინებს ისეთ გაზომვად მაჩვენებლებს, როგორებიცაა: მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების ჩატარების სიხშირე, თითოეულისთვის საჭირო ბიუჯეტის მოცულობა – გაწერილი შესაბამისი კალენდრით, პარტნიორებთან/დონორ ორგანიზაციებთან და დამფუძნებლებთან ურთიერთობის ფორმის სახით. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის სათანადო სახით არარსებობის გამო, ორგანიზაციებს არ გააჩნიათ კონკრეტული სამუშაო პროგრამა თითოეული წლისთვის და ვერც საკუთარ საქმიანობას აფასებენ ეკონომიურ და პროდუქტიულ ჭრილში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ DMO-ების მიერ, არსებული და ახალი ტურისტული ობიექტების განვითარების მიზნით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს მათ გაუმჯობესებას.

„მეტიც, ორგანიზაციების უმეტესობას მომზადებული არ აქვს არსებული ტურისტული ობიექტების სრულფასოვანი ბაზა. მოპოვებული ინფორმაცია ინახება ააიპ-ებთან და არ ვრცელდება სათანადო არხების საშუალებით. ამასთან, ტურისტული თვალსაზრისით, რეგიონის არსებულ და ახალ პროდუქტებთან დაკავშირებით, ასოციაციებს არ აქვთ სათანადო სიხშირის კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან“.

როგორც ხედავთ, ხარვეზები მართლაც სერიოზულია, თუმცა გარდა ამისა, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ ააიპ-ების თანამშრომლობა ადგილობრივ თუ უცხოურ ტურ-ოპერატორებსა და ტურიზმის სხვა სუბიექტებთან არაეფექტიანია, რადგან მხოლოდ რამდენიმე, ერთობლივი ღონისძიებით შემოიფარგლება. აუდიტორების მტკიცებით, არსებული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია, ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ხელმისაწვდომი არაა.

ხარვეზები რეგიონების პოპულარიზაციაში

სახელმწუფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ციფრული მარკეტინგის განვითარებით, DMO-ები გარკვეული სახის ღონისძიებებს ახორციელებენ, თუმცა ინტერნეტ-სივრცეს, როგორც რეგიონის პოპულარიზების ერთ-ერთი საშუალებას არაეფექტიანად იყენებენ.

„ამ ააიპ-ების სოციალური მედიის არხები მხოლოდ ნაწილობრივ ერგება უცხოელ ტურისტთა საჭიროებებს, ორგანიზაციების ვებ-გვერდების უმრავლესობა გაუმართავია – არ შეიცავს სრულ და საკმარის ინფორმაციას რეგიონის ტურისტული ობიექტების, ღირსშესანიშნაობების, ისტორიის, მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. მეტიც, გამოქვეყნებული მონაცემები არ ახლდება სისტემატურად და ნაკლებად ხელმისაწვდომია უცხოენოვანი მომხმარებლებისთვის“.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, ვებ-გვერდების გარდა, დაბალია ორგანიზაციების აქტივობა სოციალურ ქსელებშიც. მათ არ გააჩნიათ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პრაქტიკა, შესაბამისად, სოციალურ მედიაში განხორციელებულ აქტივობებს არ აანალიზებენ. პროდუქტებისა და რეგიონის ფართო წრეებისთვის გასაცნობად, DMO-ები საერთაშორისო ტურისტულ პლატფორმებს არ იყენებენ.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტები რეგულარულად არ ატარებენ ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგს და არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, DMO-ების მიერ მომზადებული საქმიანობის ანგარიშები არ ასახავს სტრატეგიული დოკუმენტითა და დეტალური გეგმით დასახული მიზნების შესრულების მდგომარეობას ან დასახული ამოცანების შესრულების მაჩვენებლებს. ამდენად, აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ მუნიციპალიტეტები საერთოდ არ აკონტროლებემ ააიპ-ებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ განვითარებასაც და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასაც.

ხარვეზები რეგიონული განვითარების სააგენტოების საქმიანობაში

რეგიონული განვითარების სააგენტოების წესდებების აუდიტორული შესწავლით დადგინდა, რომ მათი ფუნქცია-მოვალეობები, ხშირ შემთხვევაში, დუბლირებულია მუნიციპალიტეტების მერიების ან სხვა სახელმწიფო სამსახურების ფუნქციებთან. სამწუხაროდ, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ როგორ გაიმიჯნა სააგენტოების ფუნქცია-მოვალეობები სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ფუნქციებისგან ან რა დამატებითი ღონისძიებები უნდა განეხორციელებინათ სააგენტოებს.

„დამფუძნებელმა მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს დასაბუთება, თუ რა კვლევების საფუძველზე დააფუძნეს სააგენტოები ან რა უპირატესობა აქვს სააგენტოს სხვა ანალოგიური ფუნქციების მქონე ორგანოებთან შედარებით. წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად, ორგანიზაციებს შედგენილი არ აქვთ სტრატეგიული და დეტალური გეგმები, რის გამოც მათი საქმიანობა არ ეფუძნება ანალიზისა და წინასწარი გათვლების შედეგად შედგენილ დაგეგმვის დოკუმენტაციას, რომლითაც ორგანიზაციას უნდა ეხელმძღვანელა. სააგენტოებს არ აქვთ დასახული კონკრეტული ამოცანები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ამასთან, სააგენტოები და მათი დამფუძნებლები არ აფასებენ საქმიანობის პროგრესს და არ გეგმავენ ღონისძიებებს პრობლემების აღმოსაფხვრელად“.

მეტიც, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ რეგიონული განვითარების სააგენტოები არასათანადოდ ახორციელებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს. არ აქვთ შესწავლილი რეგიონების ბიზნეს-გარემო, არ შეუმუშავებიათ ეკონომიკური განვითარების პროგრამები, რეგიონის განვითარების სტრატეგიები და არც საკმარისი ღონისძიებები ჩაუტარებიათ მეწარმეთა დასახმარებლად. უმეტესწილად, მხარდაჭერა ზეპირი კონსულტაციებით გამოიხატებოდა და ამ შემთხვევაშიც, დახმარება ეხებოდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამას, რომლებსაც სხვა უწყებები ახორციელებენ.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ რეგიონული განვითარების სააგენტოები არასათანადოდ ოპერირებენ ინტერნეტ-სივრცეში. მათ არ აქვთ ათვისებული ციფრული მარკეტინგის საშუალებები, ხოლო მათი ვებ-გვერდები და სოციალური ქსელები ხარვეზებით ფუნქციონირებს. მეტიც, ამ ვეგ-გვერდებზე არ არის განთავსებული ყველა საჭირო ინფორმაცია, ზოგ შემთხვევაში, ინფორმაცია საერთოდ არ ახლდება. სამწუხაროდ, ეს საიტები არ არის ადაპტირებული სამიზნე აუდიტორიაზე საზღვარგარეთ, შესაბამისად, მხოლოდ მომხმარებლების მცირე კონტიგენტს ფარავენ.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, რამდენიმე მუნიციპალიტეტი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას მათ მიერ დაფუძნებული სააგენტოების საქმიანობის შესახებ, ხოლო სხვა შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები არ აანალიზებენ და არ აფასებენ, რამდენად სრული და ადეკვატურია სააგენტოების მიერ განხორციელებული საქმიანობა. შედეგად, მუნიციპალიტეტების, როგორც პარტნიორებისა და ზედამხედველების ჩართულობა სააგენტოების საქმიანობაში, არასაკმარისი და არასათანადოა.

„უდიდეს გულისტკივილს იწვევს ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„გაუწყებთ თქვენ... საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც მამასთან იყო და ჩვენ გამოგვეცხადა“ (1 ინ. 1, 2).

აღსრულდა სამოთხეში ადამისა და ევასთვის მიცემული პირობა უფლისა! სიკვდილი იძლია!

ქრისტე აღსდგა!

საკვრელი ბნელეთისა დარღვეულია და მართალთა სულნი – გამოხსნილნი!

ზეიმობს წიაღი აბრაამისა; ძეს თვისას, ყოველთა მეუფეს შეჰხარის წინასწარმეტყველი დავითი, იშვებს ქალწული და ყოველნი ზეციურნი ძალნი!

შემოდის დღე ძლევამოსილი და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი.

ეშმაკი მოტყუვდა, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად მიიღო თავის წიაღში კაცობრივი სულის მქონე უფალი – ყოვლად უცოდველი, სრული სიყვარული, სიკეთე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომელმაც ჯოჯოხეთში შთასვლით შემუსრა ბოროტების, ღვარძლისა და სიცრუის სამეფო.

ქრისტე აღსდგა!

„სადა არს, სიკვდილო, ნესტარი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“ (1 კორინ. 35.55).

მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს – საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას.

ქრისტე მკვდრეთით აღსდგა იმგვარი უხრწნელი სხეულით, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში და ჩვენც, მეორედ მოსვლის შემდეგ, ამ სულიერი სხეულით შემოსვის შესაძლებლობა მოგვცა.

ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან ხრწნილება, რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად ჩვენი დაცემული ბუნების თვისება გახდა, ვერ დაიმკვიდრებდა უკვდავებას.

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15, 22); „ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5, 11).

* * *

ჩვენთვის რომ გადარჩენის ერთადერთი გზა მოეპოვებინა, მაცხოვარმა უდიდესი დამცირება, ცილისწამება და ტანჯვა დაითმინა და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით გამოგვიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან.

მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუსრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბიწისაგან გათავისუფლების პროცესი, სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით, ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ – უნდა ძალისამებრ ჩვენისა განვაახლოთ შემოქმედის ხატება და მსგავსება ჩვენში (ანუ შინაგანად შევძლოთ აღდგენა იმისა, როგორადაც შეგვქმნა უფალმა), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბრძოლას ჩვენს ეგოისტურ აზროვნებასთან და ვნებებთან.

ეს არის გარდაუვალი ომი საკუთარ თავთან, რაც აუცილებლად მოუწევს ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

ამ ომში გამარჯვება წარმოუდგენელია ღვთის შემწეობის გარეშე, სიკვდილის დამთრგუნველი უფლის რწმენის გარეშე, რადგან საწუთრო და მისი საცდურნი იოლად არ ანებებენ თავს ადამიანს და მრავალგვარ მახეს უგებენ ცრუ თავისუფლების სახელით. წუთისოფელი და მისი წარმავალი სიკეთენი ჩვენს დაცემულ ბუნებას თავისკენ იზიდავს და ცოდვის მორევში ადვილად აქცევს მრავალთ.

სულ სხვაა მორწმუნეთა ცხოვრება. ესაა მუდმივი სვლა მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით, რწმენისა და სიმართლის ვიწრო გზით; და ისინი, საკუთარ თავთან ბრძოლაში გამარჯვებულნი, სძლევენ წუთისოფელს (1 ინ. 5, 4).

დასასრული მე-6 გვერდზე

„უდიდეს გულისტკივილს იწვევს ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში“

მე-5 გვერდიდან

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ომს თავის თავთან კი არ აწარმოებს, არამედ მოყვასთან და შუღლითა და დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას.

* * *

დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის.

ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშიერ-მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათადმი), რათა დაიძლიოს ბოროტება.

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

* * *

ზოგადად, შიში, როგორც გადარჩენის ინსტიქტი, კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, ყველაზე ძლიერი კი სიკვდილის შიშია, რაც ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან სულისა და ხორცის გაყრასთან არის დაკავშირებული და მათი ერთობის დამრღვევია.

თუმცა ქრისტეს მორწმუნეთ იციან, რომ სხეულის დაფვლა მიწაში და სტიქიონებად დაშლა ჩვენი არსებობის შეწყვეტას არ ნიშნავს, არამედ ეს პროცესი აუცილებელია, რათა სხეული განახლებული სახით აღდგეს.

ზოგიერთ ადამიანს უჭირს ამის დაჯერება, პავლე მოციქული მოკლედ და ნათლად ამბობს, რომ: „რასაც დავთესავთ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ (1 კორინ. 15, 36). ასევეა მკვდართა აღდგომაც ... „ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1 კორინ. 15, 44), ხოლო ვისაც ეს აეჭვებს, ის დაეჭვებულია ქრისტეს აღდგომაშიც, „რადგან თუ მკვდარნი არ აღდგებიან, ქრისტეც არ აღმდგარა“ (1 კორინ. 15, 16)! მართლმორწმუნისათვის ასეთი აზრი კი უდიდესი მკრეხელობაა და სულიერად დამღუპველი.

აღდგომილი მაცხოვარი არაერთგზის იხილეს მენელსაცხებლე დედებმა, მოციქულებმა, ხუთასზე მეტმა კაცმა და სხვებმა. იგი ორმოცი დღის მანძილზე არიგებდა და განაბრძნობდა თავის მოწაფეებს, რომელთაც, სულიწმინდის მადლით, მრავალ სასწაულთა აღსრულების უნარი მისცა; შემდეგ კი იესო ქრისტე ყველას თვალწინ ზეცად ამაღლდა და აღგვითქვა: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაგ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ. 28. 20), და კიდევ: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და ... მირწმუნეს“ (ინ. 20. 29).

* * *

ქრისტეს სასუფეველი მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვისაც არა აქვს შიში და სიყვარული ღვთისა და, ასევე, სიყვარული მოყვასისა, რაც შედეგია ჩვენი რწმენისა და მოღვაწეობითი ძალისხმევისა.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის ხაფანგისგან გამომხსნელი“ (იგ. 14, 27). იგი სულიერი სიბრძნის დასაწყისია, რადგან ამ მადლის მქონეთ ეძლევათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, უნარი გონივრული ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობისმყოფლობისა, მოყვასის სიყვარულისა და მისთვის თავდადებისა.

ღვთის შიში სხვა შიშებისაგანაც ათავისუფლებს ადამიანს და ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას უადვილებს, რადგან იგი განსაცდელსა და მწუხარებას მისთვის საჭირო მწარე, თუმცა მაკურნებელ წამლად მიიჩნევს და ეშინია მხოლოდ იმისა, რომ არ შეექმნას სულიერი სიკვდილის საფრთხე (შდრ. მთ. 10, 18).

ღვთის შიში უფალთან სიახლოვით მტკიცდება, უფრო აღმატებულ სულიერ მდგომარეობაში კი მას სრული სიყვარული ცვლის, როგორც ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული განდევნის შიშს, ხოლო ვისაც შიში აქვს, არასრულქმნილია სიყვარულში“ (1 ინ. 4, 18).

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, მადლითა შენითა“.

მოციქული გვარიგებს – ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5, 17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას.

ეს არის – „უფალო, შეგვიწყალენ“.

თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მინდობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ.

ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ – „უფალო, შეგვიწყალენ“ და მარად გახსოვდეთ, რომ „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან“.

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისათვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 2022.

თბილისის ფსიქიატრიული კლინიკების კოშმარები

ეია გრიგალაშვილი

31 მარტს, სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტს, 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. მეტიც, რიგი მიმართულებებით მნიშვნელოვანი გაუარესებაც კი შეინიშნება. ანგარიშში განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და სამწუხარო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აღმოჩენილი დარღვევებია, კერძოდ, სახალხო დამცველის დასკვნაში წერია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ აწარმოებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ სრულყოფილ სტატისტიკას. ამასთან, პაციენტებს სომატური ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომა აქვთ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, გარდაცვალების მიზეზიც შეიძლება გახდეს. პაციენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ ტელეფონით – დაწესებულებაში შესვლისთანავე მობილურს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ართმევენ. 2020 წლის მსგავსად, ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გასულ წელსაც შეჩერებული იყო მნახველების მიღება. შესაბამისად, პაციენტებს ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

„სილა გამაწნეს, რამდენჯერმე თმაშიც მწვდნენ“ – რას იხსენებს ძალადობის მსხვერპლი პაციენტი

სახალხო დამცველის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ განსხვავდება 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღწერილი კონტექსტისგან. ცნობისთვის, 2020 წლის ანგარიშში გამოკვლეულია ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში. მაშინ მონიტორინგმა მთელი რიგი სისტემური და ცალკეული ხარვეზები გამოავლინა, კერძოდ, ინდროინდელ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფოს მიერ აღიარებული კლინიკურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები ე.წ. ეროვნული გაიდლაინები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას.

შემოწმებულ დაწესებულებებში არ ხდება ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობის დაწყებამდე და მისი მონიტორინგი მკურნალობის პროცესში.

გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებების ადმინისტრაციისა და პერსონალის მხრიდან პაციენტთა შორის ძალადობის ფაქტების გამოვლენა. ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გამოვლინდა გაიდლაინებით გაუთვალისწინებელი მედიკამენტის გამოყენების გზით, ლიბიდოს მიზანმიმართულად დაქვეითების შემთხვევა.

ქალის ჰიგიენური პაკეტების არარსებობის შემთხვევაში, მიღებული პრაქტიკაა ჰიგიენური საფენების დაჭრა/დაყოფა. გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დაწესებულებაში არის ქალის ჰიგიენური პაკეტების მარაგი, მაგრამ თავად პაციენტებმა ამის შესახებ არ იციან და ოჯახის წევრებს სთხოვენ საჭირო ნივთებით უზრუნველყოფას.

პაციენტები ხშირად უთითებდნენ აბაზანაში წყლის მალე გაციებაზე, რაც პირადი ჰიგიენის ჯეროვან დაცვას ართულებს. ყოველდღიური ჰიგიენის დაცვისას, რიგ შემთხვევებში, ქალებს ცივი წყლის გამოყენება უხდებათ. ზოგიერთ სტაციონარულ-ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტებს კვლავ არ აქვთ პირადი ტანსაცმელი ან თეთრეული და დაწესებულებაში არსებული საერთო მარაგიდან უხდებათ სასურველი ტანსაცმლის (მათ შორის, საცვლის) არჩევა. იქ უმეტესად, დიდი საერთო სარეცხი მანქანებია, სადაც ყველაფერი ერთად ირეცხება, მათ შორის, საცვლებიც.

საპირფარეშოები არ იკეტება. ზოგიერთ შემთხვევაში, დაწესებულებაში არის გენდერულად ნეიტრალური საპირფარეშოები, რომლითაც ქალებიცა და მამაკაცებიც სარგებლობენ, თუმცა საპირფარეშოს კარი შიგნიდან არ იკეტება. ადმინისტრაცია აღნიშნულს უსაფრთხოების მიზნებით ხსნის, თუმცა პაციენტების განმარტებით, პერსონალი კარს არ აკონტროლებს.

სახალხო დამცველის აქტიურობის, მისი სამსახურის მიერ გამოკვლეული და აღმოჩენილი დარღვევების მიუხედავად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებს შესაბამის ზედამზედველობას დღემდე არ უწევენ. აქედან გამომდინარე, არ ხდება პაციენტების უფლებების დაცვა და მათთვის საჭირო ელემენტარული პირობების შექმნა, – მიიჩნევს ომბუდსმენი.

* * *

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში, ერთ-ერთმა მოქალაქემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფსიქიატრიულ კლინიკაში, ქალებს ჰიგიენური საფენის ნაცვლად, პამპერსს აძლევენ, რომელიც რამდენიმე დღე უნდა იმყოფინონ. „ვერსია“ ამ მოქალაქეს დაუკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ ეს ინფორმაცია ერთ-ერთი კლინიკის პაციენტისგან მიიღო. „ვერსიამ“ პაციენტთან, თინათინ შალამბერიძესთან დაკავშირება შეძლო.

– თინათინ, ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი იყავით...

– დიახ, ასეა. თუმცა ფაქტი, რომელიც სოციალურ ქსელში მოხვდა, 2020 წლის იანვარ-თებერვალში, თემქაზე მდებარე საავადმყოფო „ღია გულის“ ერთ-ერთ განყოფილებაში დაფიქსირდა. როგორც წესი, ჰიგიენური საფენები ზოგან საკმარისია და პაციენტებსაც დროულად აძლევენ, თუმცა სამწუხაროდ, იქ არ იყო. ბევრად უარესი დარღვევებია კლინიკებში, თუნდაც ფიზიკური შეურაცხყოფა და ა.შ.

– თავად თუ ყოფილხართ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში?

– დიახ, უარს ვამბობდი ინექციაზე, რომელიც ცნობიერებას თრგუნავს, ამის გამო, ცდილობდნენ გაკავებას და წინააღმდეგობა რომ გავუწიე, თვალში მუშტი მივიღე. ოთხჯერ-ხუთჯერ მაინც ვარ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, პირველი შემთხვევა, დაახლოებით, შვიდი-რვა წლის წინ მოხდა, ერთხელ, ისეთი სილა გამაწნეს, იმ დღეს ღეჭვა მიჭირდა. აქედან, სამი – გლდანის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხდა, ძირითადად მაშინ, როდესაც ინექციაზე უარს ვამბობდი. როგორც ვიცი, პაციენტს უფლება აქვს, ზოგიერთ მედიკამენტზე უარი თქვას, მე არ მინდოდა ინექციის გაკეთება, რადგან ვიცოდი, არ მჭირდებოდა იმ მომენტში და თანაც ცნობიერების ძლიერ დაკარგვას გამოიწვევდა. რამდენჯერმე თმაშიც კი მწვდნენ და ამით გამაჩერეს.

დასასრული მე-8 გვერდზე

თბილისის ფსიქიატრიული კლინიკების კოშმარები

მე-7 გვერდიდან

– რომელიმე სახელმწიფო ან არასამთავრობო უწყებას არ აცნობეთ ამის შესახებ?

– იმ მომენტში, არავისთვის მიმიმართავს, მაგრამ როდესაც შემეძლო, პოსტებს ვაქვეყნებდი სოციალურ ქსელში. ერთ-ერთმა პოსტმა მიაღწია ადვოკატებამდე, რომლებიც დამიკავშირდნენ და დახმარება შემომთავაზეს. კლინიკიდან როდესაც გამომწერეს, მათ შევხვდი. მითხრეს, რომ თუ მტკიცებულებები არ იქნებოდა – მოწმის ან ვიდეო-ჩანაწერის სახით, მაშინ, აზრი არ აქვს ბრძოლასო. გლდანის კლინიკაში კი ვიდეო-კამერები არ არის, ხოლო სადაც არის, ხშირად, არც იქ მუშაობს. ასევე, პერსონალიც არ იტყოდა ცუდს იმ ადამიანზე, ვინც დამაზიანა, ამის დამტკიცება ძალიან რთულია, თანაც ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტის სიტყვას ძალა არ აქვს, გეუბნებიან, რომ მოგეჩვენა, წაიქეცი და შეიძლება, ამას აბრალებდეო. ყველაზე ნაკლებად ჩვენ გვენდობიან. საჭიროა, პაციენტებს მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაიმე დარღვევაა, მათ ხმა მიაწვდინონ შესაბამის ორგანოებს. ეს მაშინ არ ვიცოდი, გლდანში არის სოციალური სამსახური, რომელიც, ასე თუ ისე, აკონტროლებს სიტუაციას და მისი დახმარებით, ერთხელ გაათავისუფლეს კაცი, რომელიც ფიზიკურად ძალადობდა პაციენტზე. ამის მიუხედავად, ამგვარი ფაქტები მაინც არ ამოწურულა – ყოველთვის შესაძლებელია, ასეთი ადამიანი კლინიკაში მივიდეს სამუშაოდ, ამიტომ შემაკავებელი, კონტროლის მექანიზმი აუცილებლად უნდა შემუშავდეს. ცხადია, ყველა ასეთი ნამდვილად არაა და ბევრი, მართლაც კარგი ადამიანი მუშაობს, თუმცა ერთეულებიც არიან, რომლებიც არაფერს ერიდებიან და ცუდად ექცევიან პაციენტებს.

– კიდევ რა სახის დარღვევებია ფსიქიატრიულ კლინიკებში?

– უამრავი დარღვევაა, თუმცა ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ მხოლოდ ცუდი ფაქტები ხდება. ფსიქიატრიულ კლინიკებში არის ჰუმანური მოპყრობაც და შესაბამისი დახმარების გაწევაც, მაგრამ ინფრასტრუქტურა გაუმართავია. პრობლემას წარმოადგენს დაბანა, რადგან ყოველდღიურად, ცხელი წყალი ხელმისაწვდომი არაა. მაგალითად, გლდანის ფსიქიატრიულ კლინიკაში, მხოლოდ ერთი დღე – ორშაბათია დაწესებული, რათა პაციენტმა შხაპი მიიღოს. მე, პირადად, ხშირად რომ ვერ ვიბანდი, შარდის ანალიზის აღების შემდეგ, არასწორი პასუხი მომივიდა – პირადი ჰიგიენის დაუცველობის გამო, ცისტიტის დიაგნოზი ტყუილად დამისვეს. კიდევ კარგი, პროფესიით ექიმი ვარ და მივხვდი, რაც ხდებოდა, შემდეგ თავიდან გამომიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ არაფერი მჭირდა.

ფსიქიატრიულ კლინიკებში, ღვიძლის დამცავი პრეპარატები არ ინიშნება, არადა, ფსიქოტროპული მედიკამენტები, რომლებსაც პაციენტები იღებენ, ღვიძლს აზიანებენ. დიდი პრობლემაა სიგარეტი, მე არ ვარ მწეველი, თუმცა იქ ბევრი ეწევა. ამისთვის სპეციალური ოთახიცაა, მაგრამ მხოლოდ ორი გამწოვია და კვამლი კარგად ვერ გააქვს, რაც, როგორც არამწეველს, დისკომფორტს მიქმნიდა. ზოგადად, კლინიკებში ფანჯარები არ იღება, რის გამოც ოთახები არ ნიავდება, ხოლო ვენტილაციის სისტემა გაუმართავია. უჰაერობის გამო, მოსაწევ ოთახში შევდიოდი, რადგან მხოლოდ იქ იღება ფანჯარა, თუმცა იქაც ისეთი კვამლი იყო, რომ ჯანმრთელობას მიზიანებდა.

– კვება როგორი გქონდათ, იღებდით თუ არა ორგანიზმისთვის საჭირო ვიტამინებს ხილის, ბოსტნეულის, ხორცპროდუქტებისა და რძის ნაწარმის სახით?

– დიდი პრობლემაა კვების მხრივაც, მაგალითად, გლდანის ფსიქიატრიულში საკვები ძალიან უგემურია, ზოგადად, პრეტენზიული არ ვარ, მაგრამ იმდენად უგემური იყო ფაფა, რომ ვერ ვჭამდი. გარდა ამისა, კვების რაციონიც დაუბალანსებელია – დიდი რაოდენობითაა ნახშირწყლები, პური უხარისხოა, ხოლო რაც შეეხება ხილ-ბოსტნეულს, მინიმალური რაოდენობით ვიღებდით – ხუთ დღეში ერთხელ, მხოლოდ ერთ ცალ ვაშლს გვაძლევდნენ. ხორციანი საკვები რაციონში არის, მაგრამ კატლეტი ისეთი თეთრია, ნახევარზე მეტი პური აქვს შერეული.

– თქვენი იქ ყოფნის პერიოდში, კლინიკის შესამოწმებლად თუ მოდიოდნენ ზედამხედველობის სპეციალური სამსახურიდან?

– არ შევსწრებივარ, მაგრამ ერთხელ, ერთმა პაციენტმა დარეკა სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე, რაღაც დარღვევასთან დაკავშირებით, შემოწმებაზე მოვიდნენ და მთელი დღე იყო ექიმებისა და პაციენტების გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ საბნებიც კი შენახული ჰქონდათ საწყობში და პაციენტებს არ აძლევდნენ, როცა შესამოწმებლად მოვიდნენ, მაშინ გამოიტანეს და იმ ღამით, ახალ საბნებში გვეძინა. თეთრეულს იშვიათად ცვლიან, ხშირია დატილიანების პრობლემა და ამის გამო, ქალებმა თავებიც კი გადაიპარსეს. არის საერთო ტანსაცმელი და საცვლები, ვისაც პატრონი არ ჰყავს, მას უწევს ამ საერთო ტანსაცმლის მოხმარება. რაოდენობრივად კი საკმარისია, თუმცა სწორად არ ანაწილებენ. ისე მოხდა, რომ თბილისის ყველა კლინიკაში ვარ ნამყოფი, თანაც რამდენჯერმე და ზუსტად ვიცი, რა სიტუაციაა ამა თუ იმ საავადმყოფოში.

– რატომ გიწევდათ სხვადასხვა კლინიკაში მკურნალობა?

– პერიოდულად მიმწვავდებოდა ხოლმე ჯანმრთელობის მდგომარეობა. გვერდითი მოვლენების გამო, ხშირად, მედიკამენტებზე უარს ვამბობდი, რაც უარყოფით შედეგს მაძლევდა. ადგილი რომ არ იყო ერთ ფსიქიატრიულში, მეორეგან მიშვებდნენ და ა.შ. თბილისში ბევრი პაციენტია, რომლებსაც არ სჭირდებათ მუდმივი მკურნალობა და მწვავე განყოფილებაში მათი ყოფნა აუცილებელი არ არის, მაგრამ მაინც კლინიკებში არიან, რის გამოც დაკავებულია ადგილები. ერთხელ, სურამის სტაციონარშიც კი მოვხვდი, რადგან თბილისში ადგილი არ იყო. სურამის კლინიკის შენობას ის მინუსი აქვს, რომ შშმ პირებისთვის არ არის ადაპტირებული. კიბეც მეტლახითაა მოპირკეთებული, რის გამოც ერთხელ წავიქეცი და ისეთი დაზიანება მივიღე, ძლივს მოვირჩინე კუდუსუნი. პერსონალი ძალიან კარგი და ჰუმანურია, თბილისის კლინიკებთან შედარებით, სურამში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, რადგან პაციენტებს სეირნობის საშუალება აქვთ, კარგ ამინდში, მთელი დღე გარეთ ვიყავით, მუსიკას გვირთავდნენ და ჩვენს განტვირთვაზეც ზრუნავდნენ. მაქსიმალურად ცდილობდნენ, თუ პაციენტი აღგზნებული იყო, არ დაებათ. ძალიან არასასიამოვნოა, როცა პაციენტს აფიქსირებენ (აბამენ) და თუ ამას სურამში ახერხებენ, მაშინ, თბილისში რატომაა შეუძლებელი ასე მოქცევა? იმის მაგივრად, რომ კლინიკები დიდ სავაადმყოფოებს მიუერთონ, რათა ფსიქიატრიული, როგორც სადამსჯელო დაწესებულება, ცალკე არ იყოს გამოყოფილი, ეს პროექტი აღარ ვითარდება და პირიქით, ბევრი ასეთი სტაციონარი დაიხურა კიდეც.

– პირველად როდის დაიწყეთ ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობა?

– 8 წლის ასაკში დამეწყო პრობლემები... სტაციონარში, პირველად, 22 წლის ასაკში მოვხვდი, მაშინ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამაწვინეს. იქ, საერთოდ, კატასტროფა ხდებოდა, შედარებაც კი არ შეიძლება, ახლა იმდენად დიდი პროგრესი განიცადეს კლინიკებმა. 22-დან 29 წლამდე, პრობლემა აღარ მქონია, შვიდი წელი კარგად ვიყავი, იმ პერიოდში გავთხოვდი, ვმუშაობდი, რეზიდენტურა დავამთავრე, ექიმის ლიცენზიაც ავიღე, ბავშვიც გავაჩინე, მაგრამ გადაღლის ფონზე, როდესაც ლაქტაციის პერიოდში გამოვიფიტე, ჯანმრთელობის მდგომარეობა გამიმწვავდა და გამიუარესდა. მაშინ ფასიან განყოფილებაში ვიყავი ათი დღით, 2010 წელს. წელიწადნახევრის შემდეგ, ისევ საავადმყოფოში მოვხვდი, რადგან სამსახურში გადავიღალე. მას შემდეგ, პერიოდულად, სხვადასხვა კლინიკაში მიწევდა მკურნალობა. შარშან სათემო ორგანიზაციაში ჩავეწერე, აღრიცხული ვარ, ამიტომ ბინაზეც მოდიან შესამოწმებლად, მუდმივად ზედამხედველობის ქვეშ ვარ და ცდილობენ მაქსიმალურად კარგი მომსახურება გამიწიონ, ყველა დეტალს ყურადღებას აქცევენ. ამ სათემო მომსახურების ფარგლებში, პაციენტების სტაციონირება 80%-ით შემცირდა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. მსგავსი მკურნალობა ეფექტიანია, რეალურად, არცაა საჭირო ამდენი კლინიკა, თუკი მკურნალობის ასეთი მეთოდი განვითარდება.

პაციენტებთანაც კარგი დამოკიდებულება აქვთ და როგორც თანასწორს, ისე აღგიქვამენ. თუ რამე არ მომწონს, ითვალისწინებენ და მოგვარებას ცდილობენ. ჩემს ორგანიზმზე მორგებული, კარგი წამლები მაქვს შერჩეული და ასე ვმკურნალობ.

P.S. თინათინ შალამბერიძესთან საუბრის შემდეგ, „ვერსია“ ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს დაუკავშირდა, რომელსაც რესპონდენტის მიერ ნახსენები და სახალხო დამცველის ანგარიშში გამოკვეთილი დარღვევების შესახებ ვკითხეთ, რატომ არ კონტროლდება ფსიქიატრიული დაწესებულებები და როდის აპირებენ ამ პრობლემების აღმოფხვრას. ჯანდაცვაში განგვიცხადეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ პაციენტების უფლებების დაცვას და სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებას.

სამართალი

№16 27 აპრილი 2022 წ

პოლიციელები ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას ითხოვენ!

ბათო ჯაფარიძე

წინა კვირას, წყნეთში, პატრულს იარაღი გაუვარდა, რამაც ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი ნაძვის ძირში, მიწას ხელებით თხრიდა და გაჩნდა ვარაუდი, რომ დატოვებულ ნარკოტიკს ეძებდა. იმედია, გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

იმავე დღეს, გარდაბანში, საკუთარ სახლში, 52 წლის ქალს ყელი გამოსჭრეს. ქალი მარტოხელა იყო და ძალიან, ძალიან უჭირდა. სახლიდან, დაახლოებით, 100-150 ლარის საოჯახო ჭურჭელია წაღებული. სამართალდამცავებს ცხელ კვალზე არავინ დაუკავებიათ, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ ქალმა გასაქურდად შესულები იცნო, რის გამოც მოკლეს. ვინაიდან გარდაცვლილმა მძარცველები იცნო, მათ ძალიან კარგად ეცოდინებოდათ, რომ იქიდან წასაღები არაფერი იყო.

სამწუხაროდ, შავ ბაზარზე, ნარკოტიკის გარკვეული კატეგორია ისე გაიაფდა, რომ 100 ლარად, სამი დოზის სამყოფი იშოვება და ისედაც გაუბედურებული ნარკომანები, იაფფასიანი, გაურკვეველი მინარევების შხამს ორგანიზმში ყოველდღიურად უშვებენ.

მარტივად შეიძლებოდა დაგვეწერა, რომ სამართალდამცავები არ მუშაობენ, რომ ნარკოტიკის შეძენა ადვილია, რომ... რომ... რომ... რეალურად კი, სამართალდამცავები ყველაფერს (ან თითქმის ყველაფერს) აკეთებენ ნარკოდანაშაულის შესამცირებლად, მაგრამ ცუდი ის გახლავთ, რომ ნარკოდამოკიდებულებისადმი შერბილებულმა კანონმდებლობამ პრობლემა საგრძნობლად გაზარდა.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, გეტყვით, რომ ევროპის არაერთ ქვეყანასა და აშშ-შიც უკვე გაამკაცრეს მიდგომა სწორედ ნარკოდამოკიდებული ადამიანების მიმართ, რადგან წვრილმანი დანაშაული გახშირდა და არცთუ იშვიათად, წვრილმანი, საბოლოო ჯამში, უმძიმესი ხდება.

პოლიციელები არ მალავენ, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე დაკავებულ პირებს სასამართლო დარბაზიდანვე ათავისუფლებენ და იგივე ქმედების გამო, მათ ახლიდან იჭერენ, შემდეგ ისევ და საბოლოო ჯამში...

„ისე გამოდის, რომ პოლიცია ცუდია და სასამართლო კარგი. ვიჭერთ, უშვებენ, ისევ ვიჭერთ და ისევ უშვებენ. კანონი უნდა გამკაცრდეს, კანონი“, – ამბობენ სამართალდამცავები და სადღაც მართლებიც არიან.

რაც შეეხება ნარკოტიკების შეძენის სიმარტივეს, თანამედროვე ეპოქაში შეუძლებელია დახურო ყველა ინტერნეტ-გვერდი, რომელზეც ნარკოტიკების შეძენაა შესაძლებელი. თითოეულ ასეთ გვერდზე ნარკოტიკების გამსაღებელთან კომუნიკაციაში შესვლა, მერე მის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვა, შემდეგ იმ ლოკაციის ძებნა, რომელზეც ნარკოტიკს ტოვებენ, არარეალურად დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვს. საქართველოში ძალიან ბევრ უცხოელს შემოაქვს ნარკოტიკი და ისიც ფაქტია, რომ დაკავებული ნარკორეალიზატორების უდიდესი ნაწილი, სწორედ უცხოელია.

სამწუხაროდ, როცა ფული არ აქვთ, ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანები ათასგვარ მეთოდებს იგონებენ და სწორედ ამის შედეგი იყო არცთუ დიდი ხნის წინ სასიკვდილო ნარკოტიკად ქცეული „ვინტი“ და „კრაკადილი“. ახალი ნარკოტიკი ნაძვის წიწვებისგან მზადდება ანუ ვენებში შედის და სისხლს ერევა წიწვების ნახარში, უნიტაზის საწმენდი ხსნარით შეზავებული, შემდეგ კი ბენზინით დამწვარ-აორთქლებული.

ჰო, ყველაფერ ამას, მცირე დოზით გოგირდსაც ურევენო და ასე იქმნება უბედურება, რომელსაც შემდეგ იკეთებენ.

არ გეგონოთ, რომ ნარკოტიკები მხოლოდ საქართველოს პრობლემა იყოს. რეგიონის ქვეყნებს შორის, არანაკლებ მძიმე სიტუაციაა აზერბაიჯანსა და სომხეთში, ხოლო შედარებით უკეთესი მდგომარეობა თურქეთშია, რადგან... ჩვენს მეზობლად, ნარკოდანაშაული უმკაცრესად ისჯება და არცთუ იშვიათად, სამუდამო პატიმრობითაც კი. მეტიც, რეჯებ ტაიპ ერდოღანი არ მალავს, რომ სიკვდილით დასჯის აღდგენის შესაძლებლობაც საკმაოდ დიდია, რისთვისაც რეფერენდუმსაც გამართავს და ერთ-ერთი პირველები, რომლებიც სიკვდილით დასჯის მუხლით გასამართლდებიან, სწორედ ნარკოტიკების გამსაღებლები იქნებიან.

კატასტროფულად შეიძლება შეფასდეს სიტუაცია რუსეთში და მით უმეტეს, ახლა, რადგან ნარკოტიკებისთვის ნამდვილად არავის სცალია და რუსეთის მასშტაბებიდან გამომდინარე, იქ ინტერნეტით ნარკოტიკების გაყიდვა არათუ მარტივია, არამედ პრაქტიკულად, პირდაპირ ფორუმებზე იყიდება. ამასთან, იმავე რუსეთში, დღემდე აქტიურია ინტერნეტ-კაფეები და იქ შესულ, პირბადეაფარებულ ნარკოდილერებს სამართალდამცავები ვეღარ პოულობენ – შევიდა, კლიენტს შეუთანხმდა, ლოკაცია ჩაუგდო, გავიდა...

ინტერნეტ-კაფეები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ საკმარისია თავისუფალი WiFi, საზღვარგარეთ ნაყიდი ან მოპარული ტელეფონი ან ლეპტოპი და დასრულდა – სამართალდამცავები ფიზიკურად ვერ ახერხებენ ნარკოდილერების დადგენას. ლოკაციები, ძირითადად, დედაქალაქის ან მისი მიმდებარე მუნიციპალიტეტების გამწვანების ზოლებია. ეუბნებიან, რომ მაგალითად, ამ მაგისტრალზე, რიგით მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ნაძვის ქვეშ, ამა და ამ დროიდან იქნება ნარკოტიკი და მომხმარებელიც ადვილად პოულობს. რა თქმა უნდა, არიან თაღლითებიც, რომლებიც ფულს არიცხინებენ, მაგრამ ნარკოტიკი არ აქვთ, თუმცა მომხმარებლები მათ ადვილად შიფრავენ, ერთმანეთთან კავშირი აქვთ და აპრობირებულ, საქმეში ნანახ „ბარიგებს“ ენდობიან. ამიტომაა, რომ არცთუ იშვიათად, მაგისტრალზე ნელა მოძრავ პატრულს ვხედავთ, ისინი ცდილობენ გააკონტროლონ პერიმეტრი. რეაკურად, ესეც ზღვაში წვეთია, რადგან ადამიანური რესურსი არ ეყოფა ყველაფერს, რაც მთავარია, ესეც შემთხვევასა და გამართლებაზეა დამოკიდებული. საპატრულო მანქანას, როგორც რიგითი ადამიანები, ისე „ბარიგები“ კარგად ხედავენ და ელოდებიან, როდის დატოვებენ ისინი ტერიტორიას, ან სულაც სხვაგან მიდიან.

სამაგიეროდ, განსაკუთრებით ღამის საათებში, თბილისსა და მის შემოგარენში, ხშირად დაინახავთ ნაძვებში ციცინათელებივით მოსიარულე ადამიანებს, რომლებიც ნაძვების ძირებს ანათებენ და ნარკოტიკებს ეძებენ, ზოგი კუთვნილს, ზოგიც კი იმ იმედად, რომ ეგებ, ბედმა გაუღიმოს და სხვისთვის დატოვებული წამალი იპოვოს.

მართალია, ყველა ვთანხმდებით, რომ ნარკოდამოკიდებულები აუცილებლად უნდა განიკურნონ, თუმცა მაინც მიმაჩნია, ამ კუთხით, კანონის გამკაცრფება არათუ აუცილებელი, არამედ, ძალიან მნიშვნელოვანია. სხვაგვარად, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, ძალიან სწრაფად ითვისებს მავნე ჩვევებს – მარიხუანით დაწყებული „გართობა“ კი, სწორედ ნაძვებში სიარულითა და წამლის ძებნით გრძელდება.

წვრილმანი დანაშაულის გახშირებაც სწორედ ამის ბრალია, რადგან ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანების უდიდეს ნაწილს სტაბილური შემოსავალი არ აქვს (ან რა შემოსავალი ეყოფა მუდმივად წამლის მოხმარებას) და იძულებულია, რაღაც „იჩალიჩოს“. ეს რაღაც კი, ხშირ შემთხვევაშიმ სწორედ წვრილმანი დანაშაულია.

მკვლელობა კაბინეტში

ბათო ჯაფარიძე

ვინ და რატომ იძია შური ცნობილი საწარმოს დირექტორის მოადგილეზე

ასე მგონია, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც „კარადაში საკუთარი ჩონჩხი“ არ ჰქონდეს ანუ პატარა თუ დიდი ცოდვები ყველას აქვს და ზოგი საგულდაგულოდ ცდილობს მათ დამალვას, ზოგი – დავიწყებას, ზოგიც – გამოსწორებას. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, როცა დანაშაული ხდება და, ერთი შეხედვით, მოტივი არ არსებობს, სამართალდამცავები წარსულში ეძებენ ისეთ რამეს, რაც, შესაძლოა, შურისძიების მიზეზი გამხდარიყო. შურისძიების წყურვილი კი ისეთი რამეა, რომ არაა გამორიცხული, რამდენიმე ათეული წელიც კი არსებობდეს და არ განელდეს. არსებობს დანაშაულის ჩადენის ერთი, ძალიან გავრცელებული მიზეზი – „შერშე ლა ფამ“ ანუ ეძებეთ ქალი. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, წარსულის აჩრდილებიც ახლავს და საბედისწერო ქალიც.

სამსახურში მისულმა დირექტორმა კაბინეტის კარი შეაღო, იქ მყოფებს მიესალმა, სავარძელში მოკალათდა – მოადგილეს ანგარიში უნდა წარედგინა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საწარმო მომავალში, მაგრამ მოადგილე არ ჩანდა. მანამდე, დირექტორმა გაღებულ ფანჯარას გახედა, ნოემბერი იდგა და შესაბამისად, გვარიანად ციოდა, უკმაყოფილოდ დაკეტა სარკმელი და თანამშრომლების ხმაც გაიგონა, რომ შემოვედით, ღია დაგვხვდაო. აი, მოადგილის ადგილსამყოფელი კი არავინ იცოდა. დირექტორმა მობილური ამოიღო, რაც იმ დროს იშვიათობა გახლდათ, მაგრამ შეძლებულ ხალხს უკვე ჰქონდა და დარეკა. ყველასთვის მოულოდნელად, ტელეფონი კაბინეტში მდგარ ტანსაცმლის კარადაში აწკრიალდა. გაოცებულმა დირექტორმა კარადის კარი გააღო და იქვე ჩაიკეცა – იქ მოადგილის გვამი იდო, გვერდით კი ტელეფონი წკრიალებდა. ვიღაცამ სასწრაფოში დარეკა, ვიღაცამ – პოლიციაში და ნახევარ საათში, დირექტორის კაბინეტი სამართალდამცავებით, ექსპერტებითა და ექიმებით გაივსო.

„ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ მისი მოხსენება საკმაოდ მკაცრი უნდა ყოფილიყო და ამ მოხსენების საფუძველზე, თანამდებობის ორი პირი სამსახურიდან უნდა გამეშვა, ერთი მათგანი – ჩემი მეორე მოადგილე, ხოლო მეორე -საწყობის გამგე. მათ ეჭვი ჰქონდათ, რომ სამსახურს კარგავდნენ და ამიტომ, არ არის გამორიცხული, მოკვლა თუ არა, მისი სიკვდილი სდომოდათ“, – განაცხადა დირექტორმა.

სამართალდამცავებმა მეორე მოადგილე მაშინვე დაკითხეს, რადგან იქ იყო და მან ძალიან მშვიდად ისაუბრა.

„ზუსტად ვიცოდი, რომ თანამდებობის დატოვება მომიწევდა. ამიტომ, თადარიგი დავიჭირე და უკვე სხვა სამსახურიც მოვნახე, თანაც უკეთესი ხელფასით. მე კარგი სპეციალისტი ვარ და უმუშევარი არ დავრჩები. გადაამოწმეთ იმ საწარმოში, სადაც უნდა გადავიდე და დაგიდასტურებენ, რომ სიმართლეს ვამბობ. შესაბამისად, მკვლელობის არც საფუძველი და რაც მთავარია, არც სურვილი მქონდა. ეს ცხოვრებაა, ხან მუშაობ, ხან – არა“, – განაცხადა მეორე მოადგილემ და მისი სიტყვების გადამოწმების შემდეგ, ეჭვმიტანილთა სიიდანაც ამოირიცხა.

სამაგიეროდ, საწყობის გამგე არ ჩანდა და მდივანმა გაიხსენა, ერთი საათის წინ დარეკა, ფეხი მოვიტეხე და სამსახურში ვერ მოვალ, საავადმყოფოში ვარო. სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ ფეხი ფანჯრიდან გადახტომის დროს მოიტეხა, რადგან დაასკვნეს, მკვლელი სწორედ ამ გზით მიიმალა და საავადმყოფოში წავიდნენ.

„წარმოდგენა არ მაქვს, ვინ სად მოკლეს და სამსახურიდან გაშვებასაც შეგუებული ვიყავი. რაც შეეხება ფეხს, დღეს დილით, საკუთარი კორპუსის ეზოში, სადარბაზოდან რომ გამოვდიოდი, ბოლო საფეხურიდან გადმოვხტი და უხერხულად დავხტი, ფეხიც სწორედ მაშინ მომტყდა. ამ ფაქტს, ყველაზე ცოტა, შვიდი ადამიანი შეესწრო. იქიდან პირდაპირ საავადმყოფოში მომიყვანეს“, – განაცხადა საწყობის გამგემ და მისი ალიბიც დადასტურდა.

სამაგიეროდ, სხვა თანამშრომლებმა თქვეს, რომ რამდენიმე დღის წინ, გარდაცვლილს კამათი უცნობ ახალგაზრდა მამაკაცთან მოუვიდა და რაც მთავარია, ეს ახალგაზრდა მანამდეც ნანახი ჰყავდათ. ის ბიჭი მაშინაც შენიშნა ვიღაცამ ეზოში, როცა ადგილზე უკვე პოლიციელები მუშაობდნენ. ერთ-ერთმა ისიც თქვა, მგონი, მისი სასიძოაო და მძიმე სიტუაციის მიუხედავად, სამართალდამცავები გარდაცვლილის სახლში წავიდნენ, სადაც ცოლ-შვილი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ბოლო ხმაზე მოთქვამდა. როგორც გაირკვა, კაცს მხოლოდ ერთი გოგონა ჰყავდა და სწორედ მისი გათხოვების წინააღმდეგი იყო. უფრო ზუსტად, სასიძო არ მოსწონდა, ღარიბიაო და უკეთესს ეძებდა. ღარიბი ბიჭი საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების წევრი იყო და მართალია, ფული თავზე არ გადასდიოდა, მაგრამ ალალი შრომით, სამყოფ თანხას შოულობდა. რაც მთავარია, მასზე ამბობდნენ, რომ დიდი სპორტსმენი გახდებოდა და კარიერასაც მალე ევროპაში გააგრძელებდა, რაც სასიმამროს არ სჯეროდა.

„კონტრაქტი გავაფორმე უცხოურ კლუბთან და სასიმამროსთან სწორედ ამ კონტრაქტის ასლით მოვედი, მინდოდა, ენახა, მაგრამ ბევრი ხალხი დავინახე, მათ შორის, პოლიციელებიც, გავიფიქრე, რომ რაღაც მოხდა და წამოვედი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი საცოლის მამა მოკლეს“, – თქვა ბიჭმა და კონტრაქტი პოლიციასაც აჩვენა. რაც მთავარია, ეს ახალგაზრდა აშკარად არ იყო ის ტიპაჟი, კაცი მოეკლა, უფრო თავად იზამდა ყველაფერს, რათა სასიმამროსთვის თავი მოეწონებინა და აკი, გააკეთა კიდეც.

„დეტალური ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ მკვლელმა დანის დარტყმის დროს, ხელი გაიჭრა და მისი სისხლის რამდენიმე წვეთი პერანგზე დაეცა. შედეგად, ჩვენ ვიცით მკვლელის სისხლის ჯგუფი და ვიცით ისიც, რომ ის დაავადებულია ვიტილიგოთი. ეს დაავადება გენეტიკური არ არის, თუმცა იმას არ ნიშნავს, რომ მემკვიდრეობით არავის გადაეცემა. ყოფილა შემთხვევები, რომ ვიტილიგო მემკვიდრეობით გადაცემულა“, – ასეთი იყო ექსპერტის დასკვნა.

ვიტილიგო კანის იშვიათი დაავადებაა, რომელიც პიგმენტაციის დარღვევაში გამოიხატება. ამ დროს, კანზე ჩნდება სხვადასხვა ზომის გაუფერულებული ლაქები, მკვეთრი საზღვრებით. დასკვნის წაკითხვის შემდეგ, გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. როცა ისინი გარდაცვლილთან სახლში იმყოფებოდნენ, მათ ადვილად შეამჩნიეს გოგონას ხელებზე არსებული სიჭრელე ანუ გოგონას სწორედ ეს დაავადება ჰქონდა, მაგრამ... გოგო და მამის მკვლელი? რა თქმა უნდა, მაშინვე სისხლის ანალიზი აიღეს და ექსპერტის დასკვნას მოუთმენლად დაელოდნენ.

„ორი რამის თქმა შემიძლია. პირველი ის, რომ ეს გოგო გარდაცვლილის შვილი არ არის, მეტიც, მასთან კავშირი არ აქვს, ხოლო მკვლელის სისხლი მისას თითქმის ასი პროცენტით ემთხვევა, თუმცა მისი არ არის“, – განაცხადა ექსპერტმა.

ამის შემდეგ დედა-შვილის დაკითხვის დრო დადგა.

„ჩემი პირველი მეუღლე მუდმივად მცემდა, მაშინაც კი, როცა ორსულად ვიყავი. როცა გოგონა მეყოლა და ორი თვის გახდა, ჩემი ქმარი მკვლელობის გამო დაიჭირეს, შემდეგ ციხეში ახალი დანაშაული ჩაიდინა და დაუმატეს. ჩემი შვილი 4 წლის იყო, როცა მომავალ მეუღლეს შევხვდი. რაღაც პრობლემის გამო, მას საკუთარი შვილი არასდროს ეყოლებოდა, მითხრა, ცოლად გამომყევი, შენს შვილს საკუთარივით გავზრდიო და მართლაც, ასე მოიქცა. ჩემმა ქმარმა როცა გაიგო, რომ გავთხოვდი, დამემუქრა, ციხიდან რომ გამოვალ, ქმარს მოგიკლაავო, მაგრამ ვიცოდი, ძალიან დიდხანს არ გამოუშვებდნენ და სიბრაზე გადაუვლიდა. მისი არსებობა აღარც კი მახსოვდა და არც ის ვიცი, ახლა გარეთ არის, თუ ციხეში“, – ტირილით მოჰყვა ქვრივი.

სამართალდამცავებმა მაშინვე გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ ყოფილი ქმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ორი კვირის გამოსული იყო. მისი ადგილსამყოფელი მარტივად დაადგინეს – ციხის ძმაკაცის სახლში ცხოვრობდა, მაგრამ იქ მისულებს არავინ დახვდათ – ორი დღის წინ წავიდა და იმის მერე, აღარ მინახავსო, განაცხადა სახლის პატრონმა.

სად შეიძლებოდა წასულიყო მკვლელობაში ეჭვმიტანილი, წარმოდგენა არავის ჰქონდა, თუმცა მოკლულის სახლის ტელეფონზე ზარი გაისმა – შენი ქმარი ხომ გავისტუმრე, ახლა შენი ჯერიაო, იმუქრებოდა ქმარყოფილი და ძალოვნებმაც ჩასაფრება მოაწყვეს. ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, მკვლელი დილით გამოჩნდა, სადარბაზოში სირბილით შევიდა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. მისი სიფრთხილე ზედმეტი იყო, სახლში ორი კვირა სამი სამართალდამცავი მორიგეობდა, კიდევ სამი – სახლის გარეთ. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა მაინც მოასწრო და ერთ-ერთ სამართალდამცავს დანა დაუსვა, თუმცა ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. მკვლელობის მცდელობისა და განზრახ მკვლელობისთვის, სასამართლომ მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ერთი შეხედვით, სასჯელი სოლიდურია, მაგრამ... ამ შემთხვევაში, აშკარად ცოტაა.

ბათო ჯაფარიძე

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. იმისთვის, რომ სამართალდამცავებს საქმე გამოეძიებინათ, არა მარტო გამოცდილება, არამედ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაც დასჭირდათ. არადა, თავიდან საქმე ძალიან ბანალურ კრიმინალურ გარჩევას ჰგავდა.

თბილისელმა ექიმმა ავღანური ჰეროინის დისტრიბუტორი მოკლა

სარეცხი საშუალებების რეალიზაციით შეფუთული კრიმინალური სქემა

დედაქალაქში, სამართალდამცავები მას შემდეგ გამოიძახეს, რაც მცხოვრებლებმა სროლის ხმა გაიგეს. ადგილზე მისულ პოლიციას კი ახალგაზრდა მამაკაცის გვამი დახვდა.

„გარდაცვლილს ოთხი ტყვია აქვს მორტყმული, ოთხივე – გულმკერდის არეში, თუმცა მკვლელმა შვიდჯერ გაისროლა ანუ მთელი მჭიდი დააცალა გარდაცვლილს. მის გვერდით ვარდების თაიგული იდო და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ახალგაზრდა კაცი ახლომდებარე კორპუსში, საცოლის დაბადების დღეზე მიდიოდა“, – ეწერა შემთხვევის ადგილის ოქმში.

ის, რომ თავდამსხმელს გაძარცვა არ აინტერესებდა, იქიდანაც ჩანდა, რომ გარდაცვლილს ჯიბეში საკმაო ოდენობის თანხა და საცოლისთვის ნაყიდი ოქროს ბეჭედი ედო, რასაც მკვლელმა ხელი არ მოჰკიდა. ამასთან, გასროლილი შვიდი ტყვია და მიზანში მოხვედრილი – ოთხი იმას ნიშნავდა, რომ თავდამსხმელი იარაღს კარგად ვერ ხმარობდა. სროლის მანძილი, სულ რაღაც 3-4 მეტრი იყო, საიდანაც 3 ტყვიის აცილებას „მოხერხება“ უნდოდა.

„ვერ ვიჯერებ, რომ ჩემი საქმრო აღარ არის. წარმოდგენა არ მაქვს, რისთვის გაიმეტეს. ისიც ვიცი, რომ ციხეში იჯდა, თქვენ, პოლიციელებმა ნარკოტიკი ჩაუდეთ და ექვსი წელი მიუსაჯეთ, 2013 წელს კი ამნისტიამ მოუსწრო და გამოვიდა. მანამდეც ჩვეულებრივი მუშა ბიჭი იყო, ახლაც თავისი ბიზნესი ჰქონდა – სარეცხ საშუალებებს ყიდდა, რისთვისაც ჩემი ავტოფარეხის გასაღებიც კი მივეცი. წლებია, მამაჩემმა მანქანა გაყიდა და ავტოფარეხი ცარიელია. იქ ნამყოფი ვარ, მხოლოდ სარეცხი საშუალებები აწყვია“, – მოსთქვამდა გოგო.

სამართალდამცავებმა ძველი საქმე გაქექეს, დაზუსტებით გაიგეს, რომ ნარკოტიკი გარდაცვლილისთვის არ ჩაუდიათ, ის მომხმარებელიც იყო და გამსაღებელიც, თუმცა სპეციალურმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ გარდაცვლილს ნარკოტიკი რამდენიმე წლის განმავლობაში არ მიუღია ანუ მომხმარებელი აღარ იყო, რაც შეეხება გასაღებას...

„ავტოფარეხის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველა ქარხნული შეფუთვა გახსნილი იყო და მათში პაკეტებით ნარკოტიკი იყო მოთავსებული, შემადგენლობა – სუფთა ავღანური ჰეროინი. გამოდიოდა, გარდაცვლილი კვლავ ნარკოტიკებით ვაჭრობდა, ოღონდ სუფთად. ის სარეცხ საშუალებებს ინტერნეტით ყიდდა, თუმცა პროდუქცია ისეთ საიტებზე ჰქონდა განთავსებული, სადაც ნარკოტიკის შესაძენად შედიოდა ხალხი. გათვლაც მარტივი იყო – შეუკვეთე სარეცხი საშუალება, მიიღე ნარკოტიკი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არცთუ იშვიათად, გარდაცვლილი სარეცხ საშუალებებს კურიერებს ატანდა, აქაოდა, ბევრი შეკვეთა მაქვს, არ მცალიაო, კურიერებიც, რომლებმაც არაფერი იცოდნენ სარეცხი საშუალებების რეალური შიგთავსის შესახებ, მშვიდად დაატარებდნენ მისამართებზე და ეჭვიც კი არ ჰქონდათ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიოდნენ. წესითა და რიგით, კლიენტებს დისტრიბუტორი არ უნდა მოეკლათ, რადგან საუცხოო ნარკოტიკით ვაჭრობდა და მისი კლიენტურა ის ხალხი იყო, რომლებსაც ჰეროინში დიდი თანხის გადახდა შეეძლოთ, თანაც ის ყველასთვის უხილავი გახლდათ, რადგან მათთან „სარეცხი საშუალება“ ცნობილი საკურიერო კომპანიების ფორმიან ბიჭებსა თუ გოგონებს მიჰქონდათ.

დაიწყეს გარდაცვლილის წარსულის ძიება, ხომ არ ჰქონდა უთანხმოება ვინმესთან მაშინ, როცა სასჯელს იხდიდა და ის „ვინმე“ ახლა ხომ არ გათავისუფლდა, თუმცა ასეთს ვერავის მიაკვლიეს. რაც მთავარია, ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ამბობდნენ, რომ მას მტრები არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა, რადგან მუდმივად საკანში იყო და კითხულობდა.

მაშ, რა იყო მიზეზი, რომ ის ასე სასტიკად ჩაცხრილეს?

სამართალდამცავებმა ნარკოტიკების შემკვეთების ვინაობის გარკვევა დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ შეკვეთები კვლავ გრძელდებოდა და მას ვიღაც იღებდა, მაგრამ საინტერესო იყო, ვინ იღებდა შეკვეთას, როცა თითქოსდა, მთავარი მიმწოდებელი მოკლული იყო? გამომძიებლებმა საკონტროლო შესყიდვა დაგეგმეს და ავღანური ჰეროინი ერთ-ერთი ნაძვის ქვეშ იპოვეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოკლული მარტო არ მოქმედებდა და მას თანამზრახველები ჰყავდა, რომლებიც მასავით მარტივად ჰყიდდნენ ჰეროინს. აქედან გამომდინარე, ძალოვნებმა იმ სარეცხი საშუალებების კომპანიას მიაკითხეს, რომელიც შემომტანი იყო და ჰკითხეს, რომელ მაღაზიებს და რაც მთავარია, რომელ კერძო პირებს მიჰქონდათ მათგან აღნიშნული საშუალებები.

გაირკვა, რომ ძირითადად მაღაზიები მარაგდებოდნენ, ხოლო კერძო პირებიდან სარეცხი საშუალებები მხოლოდ ერთს, გარდაცვლილს მიჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თანამზრახველს ის პირადად ამარაგებდა, მაგრამ ადრე თუ გვიან, იმ თანამზრახველს სარეცხი საშუალებები აუცილებლად გამოელეოდა და საყიდლად თავად მივიდოდა. ამიტომ, ათეულობით საკონტროლო შესყიდვა გაკეთდა და სარეცხი საშუალებების შემომტანი კომპანიიდან პოლიციაში დარეკეს, რომ კერძო პირმა მათგან დიდი პარტია შეიძინა. გამომძიებლები მოცემულ მისამართზე გავიდნენ და იმ პირის თვალთვალი დაიწყეს, რომელმაც სარეცხი საშუალებები შეიძინა. იმავე დღეს, ჰეროინზე ორი შეკვეთა გაკეთდა, ძალოვნები სახლიდან გასულ მამაკაცს დრონით გაჰყვნენ და ნახეს, როგორ დამარხა მან ერთ-ერთი ხის ძირში რაღაც, რაც შემდეგ სუფთა ჰეროინი აღმოჩნდა. ასევე, ეჭვმიტანილმა შინ მიტანის სერვისიც აამოქმედა და როცა საიტზე მისწერეს, რომ ლოკაციის ნაცვლად, „სარეცხი ფხვნილის“ შინ მიღება სურდათ, ერთ-ერთი კომპანიის კურიერს დაურეკა, ფული გადაუხადა და შეკვეთა გაატანა.

კურიერი გზაში პოლიციამ გააჩერა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა, როცა სარეცხის ყუთიდან ჰეროინის შეკვრა ამოიღეს?! ეჭვმიტანილი ნარკოდილერი დააპატიმრეს და დაკითხვაზე მიიყვანეს. მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ის ალაპარაკდა.

„ეს სქემა მე მოვიფიქრე, მაგრამ შეკვეთები იმდენად დიდი იყო, რომ მარტო ვეღარ ვერეოდი, არადა, კლიენტებს სერვისი უნდოდათ, ამიტომ გარდაცვლილს შევუთანხმდი და ერთად ვმოქმედებდით. მას დიდი ხანია ვიცნობ, ისიც ვიცოდი, რომ ჩუმად ჰყიდდა მცირე პარტიებს და ნაგავს, აქ კი ავღანური ჰეროინი გვქონდა. საქმე იდეალურად მიდიოდა და მისი მკვლელობა ხელს არ მაძლევდა“, – განაცხადა დაკავებულმა. მკვლელობის მომენტისთვის, მას ალიბიც ჰქონდა. რაც მთავარია, დაპატიმრებულს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა მოეკლა მისი „პადელნიკი“, რადგან საჯაროდ, ისინი ჩვეულებრივი, მუშა ბიჭები იყვნენ, რომლებიც სარეცხ საშუალებებზე „ჩალიჩობდნენ“.

ამ დროს, მოკლულის საცოლის ავტოფარეხიდან ამოღებული ნივთების შესწავლაც დამთავრდა და ერთ-ერთ ყუთში ბეჭედდარტყმული და ხელმოწერილი რეცეპტის ფურცლები იპოვეს. რამდენიმე შევსებულიც იყო და მასზე ფსიქოტროპული წამლები იყო ჩამოწერილი. სამართალდამცავებს დადგენა არ გასჭირვებიათ – აღნიშნულ რეცეპტს ერთ-ერთი ექიმი წერდა, ბეჭედიც მისი იყო, თუმცა ექსპერტიზით დადგინდა, რომ ბეჭედი ნამდვილად ექიმის გახლდათ, ხელმოწერაც, მაგრამ წამლის დასახელება სხვისი ხელით იყო ჩაწერილი. გამომძიებლები ექიმთან მივიდნენ და წინ რეცეპტის ფურცლები დაუდეს. მან ყურადღებით დაათვალიერა, შემდეგ უჯრა გამოაღო და პოლიციას შენახული ფურცლები ანახა, რომლებზეც ბეჭედი და ხელმოწერა იყო, თუმცა წამალი არ ეწერა. ექიმმა განმარტა, როცა დრო მაქვს, ვავსებ, რადგან წამლის გამოწერის დროს, ბევრი არ ვიწვალოო. ყოველი შემთხვევისთვის, ძალოვნებმა მკვლელობის მომენტისთვის ალიბი მოიძიეს და როცა ექიმი დაიბნა, ხელებზე ექსპერტიზა ჩაუტარეს – მას თითებზე დენთის კვალი ჰქონდა ანუ ცხადი იყო, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, იარაღიდან ისროლა. დაკითხვა რთული არ ყოფილა, ექიმმა ხელი ჩაიქნია, შემდეგ სიგარეტი მოითხოვა და დაიწყო:

„ის არაკაცი, მე რომ მოვკალი, ჩემის შვილის თანაკლასელია. წამალზე მან შესვა, ხოლო როცა ციხეში ჩაჯდა, ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემს შვილს წამალი გადაეგდო, საზღვარგარეთაც მყავდა. მერე გამოვიდა, ისევ ჩემს შვილს მოადგა, ისევ წამალი შესთავაზა და ვერ ვხვდებოდი, როგორ ახერხებდდნენ ფსიქოტროპულების ყიდვას. ახლა უკვე ვიცი, ჩემი შვილი მპარავდა ბეჭდიან ფურცლებს და მერე ავსებდნენ. ალბათ, სხვებისთვისაც ყიდულობდა ის არაკაცი, ჩემს შვილს კი ამ ფურცლების სანაცვლოდ, წამალს უფასოდ აძლევდა. შვილის ოთახი რამდენჯერმე გავჩხრიკე და ერთი თვის წინ, თეთრი ფხვნილი ვნახე. მივხვდი, ჰეროინი იყო და შვილს თვალთვალი დავუწყე. კინაღამ გავგიჟდი, როცა ჩემი შვილი იმ არაკაცს დოზას სთხოვდა, სანაცვლოდ კი ეუბნებოდა, რაც გინდა, დამავალეო. როგორც ჩანს, იმ ბარიგამ პროფილი შეიცვალა, ფსიქოტროპულები აღარ სჭირდებოდა, ყოველდღიური დოზისთვის კი შვილს ფული არ ჰქონდა. მივხვდი, ორი გამოსავალი იყო – ან ჩემი შვილი უნდა მომკვდარიყო, ან ის. გადავწყვიტე, რომ ის უნდა მომკვდარიყო. იარაღი სადაც დავმარხე, გეტყვით, საიდან მაქვს, მნიშვნელობა არ აქვს“, – აღიარა ექიმმა.

სამართალდამცავებმა ავღანური ჰეროინის საქართველოში შემოსვლის გზებიც გაარკვიეს და უცხო ქვეყნის მოქალაქეც დააკავეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის ელჩ ჰუბერტ ქნირშთან საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი განიხილა

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი და საქართველო-გერმანიის ურთიერთობები იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ჰუბერტ ქნირშის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის მიერ, 11 აპრილს, საქართველოსთვის კითხვარის გადმოცემა ახალი ეტაპია ევროკავშირთან ურთიერთობაში, რაც ქვეყანას დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს, გააძლიეროს ძალისხმევა ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით. მისივე თქმით, პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და უმოკლეს ვადაში დასრულების მიზნით, ყველა უწყება კოორდინირებულად და აქტიურად მუშაობს, პროცესს კი პირადად პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ქვეყანა წარმატებით განაგრძობს ასოცირების შეთანხმების (AA) დღის წესრიგით გათვალისწინებული დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და ხაზი გაესვა ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, გერმანიის უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერას. საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა უკრაინისადმი, განსაკუთრებით აღინიშნა ის ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ქართული მხარე უკრაინელ ხალხს უწევს.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს პროფესიული განათლების საკითხებზე. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარებას და ამ პროცესში გერმანიის ჩართულობასა და მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ვახტანგ გომელაურმა საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის ელჩთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ჰაიდი გრაუსთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ისაუბრეს შვეიცარიის კონფედერაციის შესაბამის უწყებებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე ხაზი გაესვა უახლოეს მომავალში შვეიცარიის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, კარინ კელერ-ზუტერის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა განიხილეს რეგიონში მიმდინარე მოვლენები და აღნიშნულის გათვალისწინებით არსებული გამოწვევები.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს საქმიანობაში წარმატებები უსურვა და მადლობა გადაუხადა მტკიცე მხარდაჭერისთვის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

გურიის პოლიციამ ლანჩხუთში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტთან ერთად, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.პ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 20 აპრილს, ლანჩხუთში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, ამავე რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოთხ მამაკაცს: 1986 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, 1995 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, 1999 წელს დაბადებულ ლ.გ.-სა და 1981 წელს დაბადებულ გ.ტ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათგან კლინიკაში მხოლოდ ერთი რჩება, რომელსაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე საათში, გ.პ. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია შვიდი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაკავებულია შვიდი პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული ქ.ი. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და 11 საბრძოლო ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ორი პირი – 1998 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.თ. და 1960 წელს დაბადებული ზ.ფ. თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, ჯ.თ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკისას, პისტოლეტი, მჭიდი და 17 საბრძოლო ვაზნა, ხოლო ზ.ფ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 29 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ხ. თბილისში, მშვიდობის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 6 ვაზნა და გასაშლელი დანა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ვ.ჯ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პისტოლეტი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 42 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ჯ.მ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის დააკავეს. პოლიციამ რუსთავში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 26 საბრძოლო ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ყვარლის რაიონული სამმართველოსა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 50 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

police.ge

დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის თბილისური სიყვარულის ამბავი

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ ჯერ მიმდინარე წლის ნახევარიც არ გასულა, თამამად შეიძლება თქმა – 2022 წლის ყველაზე ძვირადღირებული ქორწილი უკვე შედგა. ცნობილი წყვილის, დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის შვილმა, ბრუკლინმა ცნობილი ებრაელი მილიარდერის, ნელსონ პელტცის ქალიშვილზე, ნიკოლზე იქორწინა. წყვილი 2020 წელს დაინიშნა, მაგრამ პანდემიის გამო, ქორწილის გადახდა ვერ მოხერხდა, არადა, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, იმდენი საპატიო სტუმარი იყო დასაპატიჟებელი, რომ ქორწილი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ცერემონია ფლორიდაში, პელტცების 100-მილიონიან ვილაში, ებრაული ტრადიციებით გაიმართა, მით უფრო, დედის ხაზით, დევიდ ბექჰემის ბაბუაც ებრაელი იყო. ამას მოჰყვა ქორწილი ლონდონში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, და რადგან სტუმრებს ნიკოლი აუცილებლად საპატარძლო კაბაში უნდა ენახათ, მას სამი საქორწილო კაბა დასჭირდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ქორწილში აკრძალული იყო ფოტო და ვიდეოგადაღება, რადგან წყვილმა ეს უფლება ჟურნალ Vogue-ს მიჰყიდა.

ის, რომ ბექჰემის შვილის ქორწილს ასეთი გამოხმაურება მოჰყვა, გასაკვირი სულაც არაა. დევიდმა ძალიან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ მისულიყო იქამდე, სადაც დღეს არის – მისი ქონება ნახევარ მილიარდს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ფეხბურთიდან მიღებული შემოსავალი არ გახლავთ – დევიდი, რომელიც 2 მაისს, 47 წლის გახდება, დღემდე აფორმებს სარეკლამო კონტრაქტებს, სიამოვნებით პოზირებს ფოტო-ობიექტივის წინ და მისი წლიური შემოსავალი 50 მილიონია.

არადა, 1975 წელს, ლონდონში დაბადებული დევიდი, წესითა და რიგით, ამ დონემდე ვერ უნდა მისულიყო, რადგან მამამისი მზარეული იყო, დედა – სტილისტი, რომლებიც სამშვილიან ოჯახს დიდი გაჭირვებით ინახავდნენ. მზარეულობის პარალელურად, დევიდის მამა, მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ, იმ სკოლის საფეხბურთო გუნდსაც ავარჯიშებდა, რომელშიც დევიდი სწავლობდა და რა თქმა უნდა, მამამ შვილი ფეხბურთზე მიიყვანა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ, მზარეულიც კი მიხვდა, რომ საქმე ძალიან ნიჭიერ ბავშვთან ჰქონდა და შვილს ყველაზე მეტად ტვირთავდა. 1992 წელს, 17 წლის ბექჰემმა

ოფიციალური კონტრაქტი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გააფორმა და ამ გუნდში მისი კარიერა არცთუ საინტერესოდ დაიწყო. „მანჩესტერმა“ ნიჭიერი ფეხბურთელი იჯარით „პრესტონში“ გაუშვა, სადაც ის მხოლოდ ხუთ შეხვედრაში ათამაშეს, თუმცა ორი გოლის გატანა მაინც მოახერხა. 1995 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ბექჰემის ოფიციალური დებიუტი შედგა. აქედან დაიწყო კარიერა, რომელსაც თამამად შეგვიძლია, ლეგენდარული ვუწოდოთ. „მანჩესტერთან“ ერთად, ბექჰემმა მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა და რა თქმა უნდა, ითამაშა ინგლისის ნაკრებში, რომელსაც 2001 წლიდან, კაპიტნობდა კიდეც. ინგლისის ნაკრებში, დევიდმა მთლიანობაში 115 შეხვედრა ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა.

დასასრული მე-14 გვერდზე

დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის თბილისური სიყვარულის ამბავი

მე-13 გვერდიდან

შეხვედრების მხრივ, დევიდს ინგლისის ისტორიაში მხოლოდ ერთადერთი მოთამაშე – ნაკრების ლეგენდარული მეკარე, პიტერ შილტონი უსწრებს, რომელსაც 125 სანაკრებო მატჩი აქვს. სამაგიეროდ, ბექჰემი გახლავთ ერთადერთი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელმაც გოლი მსოფლიოს სამ სხვადასხვა ჩემპიონატზე გაიტანა.

რაც შეეხება „მანჩესტერიდან“ წასვლას. 2003 წელს, ასოციაციის თასზე, გუნდმა „არსენალთან“ 0:2 წააგო. „მანჩესტერის“ ლეგენდარულმა თავკაცმა, ალექს ფერგიუსონმა გასახდელში ჯავრი ფეხბურთელებზე იყარა და ყველაფერი ბექჰემს დააბრალა. დევიდმა იუარა, მე არაფერ შუაში ვარო, რაზეც გაბრაზებულმა ფერგიმ იქვე დაგდებულ ბუცს ფეხი ამოჰკრა. ბუცი გაფრინდა, ბექჰემის წარბი იპოვა და ისე გაუხეთქა, ფეხბურთელს 4 ნაკერის დადება დასჭირდა. ზუსტად ერთ კვირაში, ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ბექჰემი აღარ სჭირდებოდა და 25 მილიონ ფუნტად, დევიდი მადრიდის „რეალში“ გადავიდა.

იმ დროისთვის, ბექზი არ იყო რიგითი კარგი მოთამაშე. ის იყო ნამდვილი სუპერვარსკვლავი, არაერთი სარეკლამო კონტრაქტითა და ათეულ მილიონობით შემოსავლით. „სამეფო გუნდში“ გადასვლამ მისი პოპულარობა უფრო გაზარდა, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა მან „რეალშიც“ წარმატებული კარიერა მოიწყო. იმ დროის მადრიდულ კლუბში, ბექჰემის გვერდით რონალდო, ზიდანი, ფიგუ, რაული, რობერტო კარლოსი ანუ სუპერ-ვარსკვლავები თამაშობდნენ და ამიტომ „რეალს“ უფრო ხშირად „გალაქტიკოდ“ მოიხსენიებდნენ.

2007 წელს, ბექჰემი კაარიერას ლოს ანჯელესის „გელექსიში“ აგრძელებს. ბევრს ეგონა, რომ ეს მცდარი ნაბიჯი იყო, რადგან 31 წლის ფეხბურთელს ევროპაში, უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ შეეძლო, თუმცა მალე ყველაფერი გაირკვა – წლიური ჯამაგირის სახით, „გელექსიმ“ ფეხბურთელს 50 მილიონი შესთავაზა, თანაც სარეკლამო კონტრაქტების გარეშე. ამასთან, როცა ამერიკაში შესვენება იყო, დევიდი ევროპაში ბრუნდებოდა და ბებერ კონტინენტზე იჯარით თამაშობდა. სწორედ ასე ჩაატარა მან 2009 და 2010 წლებში, იტალიურ „მილანში“ ჯერ – 18, ხოლო შემდეგ – 11 შეხვედრა. 2013 წელს, ბექჰემი „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა, კლუბს 19 წლის ნანატრ ჩემპიონობაში დაეხმარა და კარიერაც დაასრულა. კარიერის დასრულების შემდეგ, ბევრი ვარსკვლავი ფეხბურთელის ცხოვრება საინტერესო აღარ არის და ისინი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ, მაგრამ არა – ბექჰემი. მას ამ ყველაფერში ხელს არანაკლებ პოპულარული ცოლი, ვიქტორია ადამსი უწყობს. როგორ დაიწყო დევიდისა და ვიქტორიას ურთიერთობა, ეს ბექჰემის ავტობიოგრაფიულ წიგნში, დეტალურადაა აღწერილი.

„ნოემბერია... უფრო ზუსტად, 1996 წლის ნოემბერი ჩემი ოთახის ფანჯრიდან სანახევროდ დასრულებული და სასტუმროს ნომერში ვზივარ. მეორე დღეს, საქართველოს ნაკრებთან გვაქვს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. ჩემი მეგობარი და თანაგუნდელი, გარი ნევილი მეორე საწოლზე წევს. თუ უშუალოდ ფეხბურთის თამაშს არ ჩავთვლით, მოგზაურობა და გასვლითი თამაშები დიდად არ მიყვარს. ვერაფერს ათვალიერებ და მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობ – ჭამ, გძინავს, ვარჯიშობ, ისევ ჭამ, ისევ გძინავს.... და ასე, დაუსრულებლად. მთელ დროს ატარებ სასტუმროს ოთახში და ეს ოთახები ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

სასტუმრო, სადაც ჩვენი ნაკრები ცხოვრობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო სტანდარტების ერთადერთი სასტუმრო იყო საქართველოში. შიდა აივნები ერთგვარ წრეს ქმნიდა და ფოიესა და ბარ-რესტორნებს გადაჰყურებდა. როცა ოთახიდან გადიოდი, მოპირდაპირე კარს ხედავდი. ყველაფერი ლითონისა და მინისგან იყო დამზადებული, რაც ამ სასტუმროს კიდევ უფრო ამსგავსებდა ციხეს. მაგისტრალი ჩანს, რომლის გასწვრივაც, ნაცრისფერი მდინარე მიიზლაზნება. ეს ნამდვილად არაა ის პეიზაჟი, რომელიც საღამოს გარეთ გასვლას მოგანდომებს.

მოკლედ, ვსხედვართ მე და გარი ოთახში და ვსაუბრობთ. კუთხეში, მუსიკალურ არხზე ჩართული ტელევიზორია მიდგმული. მოულოდნელად, Spice Girls-ის ახალი კლიპი იწყება, Say You'll Be There. ისინი უდაბნოში ცეკვავენ, ვიქტორიას შავი კატის კოსტიუმი აცვია, ვუყურებ და ვხვდები, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ქალისთვის თვალი აქამდე არასოდეს მომიკრავს. თუმცა, იმ საღამოს, საქართველოში, სასტუმროს ჩახუთულ ოთახში, პირველად გამინათდა გონება. ვიქტორია ფანტასტიკური იყო და მივხვდი, რომ როგორმე, მისკენ სავალი გზა უნდა მომეძებნა. აშკარად, ლოურენს არაბის სამოსი მჭირდებოდა და როგორმე აქლემიც უნდა მეშოვა.

ისეთი ლამაზია... მიყვარს გარი, მიყვარს. მე ამ გოგოს უნდა შევხვდე, – ვეუბნები ნევილს და მან გაოცებით გამომხედა. იფიქრა, რომ გავგიჟდი. იმის მიუხედავად, რომ როგორც კლუბში, ისე ნაკრებში, მე და გარი ერთად ძალიან დიდ დროს ვატარებდით, ასეთი რამ მასაც კი არასოდეს ენახა – შემიყვარდა პოპ-ვარსკვლავი, რომელიც არასოდეს მენახა და მხოლოდ ეკრანიდან ვიცნობდი. ვიქტორიამ ჩემი გული დაიპყრო“, – ასე იხსენებს ავტობიოგრაფიულ წიგნში ბექჰემი მომავალი მეუღლის ნახვა-აღქმის დეტალებს.



რამდენიმე თვეში, მანჩესტერში გამართულ საქველმოქმედო საღამოზე, დევიდმა ორგანიზატორებს ვიქტორიაც დააპატიჟებინა და საოცნებო ქალი იქ გაიცნო. ერთი წლის შემდეგ, ვიქტორიამ გაამხილა, რომ ის და დევიდი დაინიშნენ და პირველ შვილსაც ელოდნენ. ასე დაიბადა ბრუკლინ ბექჰემი, რომელსაც სახელი იმ ქალაქის პატივსაცემად დაარქვეს, სადაც ჩაისახა და რომლის ქორწილმაც შოუ-ბიზნესის სამყარო აალაპარაკა. ადვილი მისახვედრია, რომ დევიდისა და ვიქტორიას დანარჩენი შვილებიც (კრუზი, რომეო, ჰარპერი) არანაკლები პოპულარობით სარგებლობენ და შოუ-ბიზნესის სამყაროში, მათაც წინ დიდი თავგადასავლები ელით.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ბექჰემების ოჯახის სიმდიდრის ერთ-ერთი მთავარი წყარო... ეკოლოგიურად სუფთა თაფლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია.

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

ეგვიპტე

არც ისე შორსაა მთის რაჭა

შუადღის მზეს რომ უნდა დაემალო ონში, ეს აქამდეც ვუწყოდი, მაგრამ ასეთ ხვატს მაინც არ ველოდი. ამიტომ მე და ჯოყოლა ჩეგიანი ნახევარი საათით თუ ვყოვნდებით ქალაქში, სურსათსა და საწვავს ვიმარაგებთ და ღებისკენ მივიჩქარით. არადა, – ვფიქრობ გზაში, – ეს პატარა ქალაქი ზღვის დონიდან 860 მ-ის სიმაღლეზეა , მწვანედ შემოსილი მთების ალყაშია, ღამით და დილით ისე გრილა, შილიფად ვერ ჩაიცვამ, აი, დღისით კი ისე ცხელა, იფიქრებ, მზე ხომ არ ჩამოვარდაო. მართლაც ნამდვილი მზის ჭაა ...

ტოპონიმი ონი რაღას უნდა ნიშნავდეს? ... ქართულ ახსნას ვერ ვუძებნი და ისევ ეგვიპტურზე ვჩერდები. მთელი კვირა ვეცადე, რომ ეს ვერსია არ მიმეღო, მაგრამ არ გამომივიდა.

ერთი სიტყვით, „ონი“ ძველეგვიპტური მზის ღვთაების საკულტო ცენტრს ერქვა...

„რაჭა“, „ამარანტი“ არ კმაროდა და ახლა ფარაონთა ქვეყანა „ონმაც“ გამახსენა. თურმე, ჯერ კიდევ სად ვარ? სოფელი **ღები**, საათკენაც მივიჩქარით, სახელწოდებით ძალიან წააგავს ძველეგვიპტელთა მიწის ღვთაება „გებ“-ს, მაგრამ აქ მცირე შეღავათი გვაქვს: ამბობენ, რომ „ღები“, შესაძლოა, სვანური სკის ან ვარცლის სახეცვლილი ფორმა იყოს.

საინტერესოა ტოპონიმი „უწერაც“, რომლის ახსნას უძველესი ცივილიზაციის სხვა ქვეყანაში გადავყავართ, ამიტომ ეს შემდგომში იყოს, ახლა კი უწერის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილს დავუგდოთ ყური: **„აქ რიონის ჩრდილოეთ არს ეკლესია სიონი დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთ ნაწნავი და იტყვიან თამარ მეფისა“.** თამარისადმი რაჭის დამოკიდებულება (და პირიქით) გამორჩეულია. თამარი აქ , დედულეთშია გაზრდილი, ამიტომ, თმის ნაწნავი რა მოსატანია, როცა **„ქვაგახეთქილას“** ხეობაში არსებული კლდის ერთ მასივს **„თამარის კლდე“** ჰქვია და მის გამოქვაბულებში მეფის ნეშტი ეგულებოდათ. (1957 წლის მთამსვლელთა ექსპედიციამ დაადგინა, რომ ეს VII საუკუნეში ბერთა მიერ შექმნილი ქვაბები იყო და იქ არანაირი ცხედრის ნაშთი არ არსებობდა). მაგრამ ჩვენ ღებისკენ მიმავალ გზასა და თემას რომ არ ავცდეთ, ვახუშტი ბატონიშვილს დავუბრუნდეთ. აი, რას ამბობს იგი დამატებით უწერაზე: **„აქა არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების“.** აქ რომ საქმე უწერის მინერალური წყლისა და ნიადაგის სუნს შეეხება, ეს უდავოა, მაგრამ, ამასთანავე, იგი შესაძლებელია ერთ უძველეს თქმულებას და ლიტერატურულ ნაწარმოებსაც უკავშირდებოდეს. ამის თაობაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ამიტომ ვახუშტის წინადადება არ დაგვავიწყდეს.

ეს ადგილი სხვა მხრივაცაა დასამახსოვრებელი: უწერის სიახლოვეში ჩამოედინება მოზრდილი ღელე, რომელსაც **მუშუანი** ეწოდება. ეს უკვე სვანური ტოპონიმია, უფრო მეტიც თავად „მუშუანი“ ნიშნავს სვანს. ხევის ასეთი სახელწოდება ცხადყოფს, რომ ძველად სვანეთი აქედან იწყებოდა და ეს მისი ერთ-ერთი, აღმოსავლეთის, კარი იყო.

... **ჭიდროთა** გავიარეთ, **შოდაკედელას** (ანუ როგორც ადგილობრივები იტყვიან, **შოდა – რუბოძალის**) მთის მასივი გავარღვიეთ. ჯოყოლა ჩეგიანს, ჩემს თანამგზავრს – აღელვება ეტყობა. აი, ეს უკვე მერამდენე წელია, იგი გულმოდგინედ მოგზაურობს დასავლეთ საქართველოს მთიანეთში თავისი წინაპრების ნაკვალევზე. ადრე იგი მხოლოდ საკუთარი გვარის განშტოებათა თავგადასავლით იყო დაინტერესებული, მერე და მერე კი, როგორც სვანთა ერთ-ერთ საერისთაო გვარის წარმომადგენელი, საერთო სვანურ ფესვებს გადაწვდა. ეს ფესვები, როგორც მან დაასკვნა, ბზიფს აქეთ, დვალეთამე იყო განტოტვილი კავკასიონის მთაგრეხილის ხეობებში. ამის თაობაზე წინა ნარკვევში გვქონდა საუბარი. სვანური სანათესაოს შუაგულში მცხოვრები სვანების, ანუ, როგორც თავად ამბობენ, მუშუანების და ამარანტების შერწყმა რაიონის სათავეში არსებულ ღებიხევში მოხდა, ღები კი, უძველესი დროიდან დღემდე, მთის რაჭის უმსხვილესი დაბა – სოფელია.

... მაგრამ ღებამდე **ჭიორაში** უნდა შევიხედოთ. ეს სოფელი ზღვის დონიდან 1370მ-ის სიმაღლეზეა. აქ რეხვიაშვილები, ჩაგელიშვილები, გობეჯიშვილები და ბათხაძეები ცხოვრობენ. მკვიდრი მოსახელობიდან ჭიორაში ზამთარს მხოლოდ 45 კომლი ატარებს. ეს რიცხვი, მცირე რომ გვეჩვენება, რაჭის სინამდვილეში, დიდიც კია – სხვა სოფლებში ამის ნახევარსაც კი ვერ დაითვლით. შოთა ნიშნიანიძის ლექსის სტრიქონები გავიხსენოთ: **„იყო რაჭაში დედაბერი, მარტოკა იყო ცხრა ზამთარი და ყველაფერი, ყველაფერი მოსთქვამდა როგორც საზანდარი“...**

ჭიორას ძეგლებიდან აღარაფერია შემორჩენილი, თვით 1503 წლის ე.წ. „სასისხლო წიგნში ნახსენები ის ციხეც კი აღარაა, რომელიც იმ დროს 16 კომლ მოსახლეს იცავდა.

როგორც იქნა, ღებსაც მივადექით. იგი ზღვის დონიდან დაახლოებით (საშუალოდ) 1400 მ-ის სიმაღლეზეა. აქ ახლა 6 გვარის ხალხი ცხოვრობს: გავაშელები, ლობჟანიძეები, გობეჯიშვილები, ბოხაშვილები, გოგრიჭიანები და ალხიძეები. საკმაოდ დიდი ხნის წინათ უნდა იყვნენ სოფლიდან აყრილი 3 ძმის აზნაურ არეშიძეების შთამომავლები. „სასიხლო წიგნში“ ნახსენებია კიდევ ერთი არეშიძე, სახელად ლომი, რომელიც, თურმე, ღების მეზობლად მდებარე და ახლა უკვე ნასოფლარად ქცეულ **თევრეშში** ცხოვრობდა. ჩნდება ეჭვი, რომ ამ არეშიძეთა გვარი ადრე არეშიანი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც დღევანდელი გავაშელები (ისინი „სასიხლო წიგნში“ ნახსენები აზნაური გაგაშვილები თუ არიან) ძირად გავაშებს ან გავაშიანებს ჰგვანან. ასევე სვანური გვარ-ჯიშისა უნდა ყოფილიყვნენ ის ლაშხიშვილები, რომლებსაც XV საუკუნის მოწურულის კონფლიქტში ჯაფარიძეთა მხარე დაუკავებიათ. **ხიდურ-ლაფურის** ძირძველ გვარს წარმოადგენენ გოგრიჭიანები ...

ამჟამად ღებში მცხოვრები 6 გვარი ქმნის იმ 150 – კომლიან დასახლებას, რომელიც ზამთარშიც ფეხს არ იცვლის სოფლიდან. ზამთრობით მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა 350 კაცს აღწევს, ზაფხულობით კი 450-500-ს. ამასთანავე, ზევით დასახლებული გვარები 42 ენთობას(შტოს) ქმნიან, რაც ღებელებს ძალიან ადარდებთ: ადრე 120 ენთობა იყო, მაგრამ მოსახლეობის მატებას, მისი გაშლა-გაფანტვაც მოყვაო – ამბობენ ისინი.

დიუბუა დე მონპერიემ (შვეიცარიელმა სწავლულმა) და ვიტორიო სელამ (იტალიელი ეთნოგრაფი) XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და დასასრულის ღების სურათები ჩანახატებისა და ფოტოების სახით შემოგვინახეს. ამ სურათებზე ღებს უშგულისა და მულახისგან ვერ განასხვავებთ – მურყვამებს თვლა არა აქვს.

– ეს სოფელი ადრე სვანეთში შედიოდა და კოშკებს დიდხანს უვლიდა ღები, – ამბობენ ანზორ და ვეფხია გავაშელები, – მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში და მერეც ათეისტებმა დაგვინგრიეს, მისი ქვებით სკოლები, ფერმები და კანტორები ააშენეს ... ეკლესიებსაც იგივე დამართეს.

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ – შევბედე გავაშელებს, – მაგრამ, სოფლის გარემოს გარდა, თქვენი მეტყველებაც განსხვავდება ტრადიციული რაჭულისგან.

– ასეც არის, – მეთანხმება ანზორ გავაშელი, – ჩვენ რაჭველებად არც მივიჩნევთ თავს. ონში და ამბროლაურში რომ მივემგზავრებით, რაჭაში მივდივარ-თქო და ბარიდან კაცი რომ ამოდის, რაჭველი გვესტუმრა-თქო, ასე ვამბობთ.

– სიმღერაც სხვანაირი ვიცით, – სიტყვას ჩამოართმევს ვეფხია გავაშელი, – მოკლედ, – ეღიმება, – არც რაჭველები ვართ და არც სვანები, ან ორივე ერთად ვართ. ერთი სიტყვით, ქართველი მთიელები, – დაასკვნის იგი და სვანური ქუდის ქვემოდან მიმზერს. უნდა ვთქვა, რომ ეს ქუდი ტიპიური სვანის იერს აძლევს. მისი სიტყვები ისევ ვახუშტი ბატონიშვილს მახსენებს. აი, რას ამბობს იგი ღებელებზე, რომლებიც მის დროს, ე.ი. სულ მცირე 3 საუკუნის წინათ, თურმე, სხვაგვარად სჯიდნენ: **„ვითარცა სხვა მთის ადგილნი მოსავლით, ნაყოფით, პირუტყვით მაგარი და შეუვალი მტერთაგან, სარწმუნოებით ქრისტიანენი ქართველთა თანა, არამედ უმეცარნი ამისაცა“.**

ა. გავაშელი: ჩვენი სოფლის შვილმა, გამოჩენილმა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა აქედან ჩრდილოეთით, რიონის მარცხენა სანაპიროზე, ნასოფლარ ბრილთან, მაიგნო ხუთი ათასი წლის წინანდელი ადამიანების სამოსახლოს და ბრინჯაოს ნაკეთობებს ...

მე: – ვიცი, წაკითხული მაქვს, ოდნავ ზედა შრეებში ბრინჯაოს ნაკეთობები და ეგვიპტური არტეფაქტები, მძიები, ფუნაგორიები იპოვნა.

ვ. გავაშელი: – კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ მერე, პირიქით, ეგვიპტეში აღმოჩნდა აქაური ბრინჯაოს ნაკეთობები. ბრილის გარდა მის მახლობლად სხვა, მსგავსი ნამოსახლარები და, რაც მთავარია, სპილენძის საბადოების და ბრინჯაოს საამქროების არსებობა დადასტურდა. ბრილი და მისი შემოგარენი მეტალურგთა დასახლება გამოდგა.

ა. გავაშელი: – ბრინჯაოს მისაღებად, სპილენძთან ერთად, ანთიმონი და დარიშხანია საჭირო. ანთიმონიც ორ ნაბიჯშია, **ზეფხუტოს** ხევში, ხოლო დარიშხანი მეზობელ **ლუხუნის** ხეობის სათავეში, სოფელ **ურავთან**.

მე: – მინახავს ... ცანაში ვიყავი გზად, 1983 წელს. იქ საბჭოთა პერიოდის დარიშხანის გადამამუშავებელი კომბინატის ნაშთები ვნახე, ცხენები დამიწამლა... ესე იგი, ბრინჯაოს ხანაში ეგვიპტესთან დიდი სავაჭრო ურთიერთობა გვქონია.

ვ. გავაშელი: – რა თქმა უნდა, ასეა, ძალიან დიდი ურთიერთობა ყოფილა. ვფიქრობ, ზოგიერთმა ეგვიპტელებმა აქ თავის საამქროც გახსნა და დასახლდა კიდეც.

ამ საუბრიდან გამომდინარე ორი კონკრეტული დადასტურება უნდა მოვიხმო:

ისტორიის მამა **ჰეროდოტე** წერს და ამას შემდგომში, **სტრაბონთან** ერთად, სხვა მწერლებიც უბამენ მხარს, რომ **კოლხეთი ეგვიპტის ფარაონის სესოსტრისის ერთ-ერთი შორეული და უზარმაზარი სამხედრო ექსპედიციის წევრებმა დააარსეს ფაზისში (ფოთში) შემოსვლის შემდეგ.** რად უნდოდა **სესოსტრისს** ფაზისის ჭაობანი დელტა, რა, ნილოსის დელტა ეპატარავებოდა? რა იზიდავდა მას აქ, თუ მდინარის სათავეები არ ექაჩებოდა? როგორც ჩანს, მას საგულისხმო ინფორმაცია უნდა ჰქონოდა ზევით, მთებში მდებარე საბადოთა შესახებ.

აღმოჩენილია ძვ. წ-ის XX საუკუნის ერთ-ერთი ეგვიპტური პაპირუსი, რომელიც გემის კატასტროფაში გადარჩენილ ფარაონის მოხელეს ეკუთვნის. იგი წერს, რომ ფუნტის ბრინჯაოს საბადოებიდან ბრუნდებოდა. ადრე ამ ფუნტს რატომღაც სომალიში დაეძებდნენ, მაგრამ გასული საუკუნის დასაწყისში ნორვეგიელმა ქართველოლოგმა და კავკასიოლოგმა ჰანს ფოგტმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ეს „ფუნტი“ და, ასევე, ძველი აღთქმის წიგნებში დაფიქსირებული ფუტი იგივე ფასიანეა, ანუ კოლხეთია. ამ შეხედულებას იზიარებენ ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, რ. გორდეზიანი, ო. ლორთქიფანიძე ...

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამის შემდეგ მე და შენ აღარც უნდა გვიკვირდეს და აღარც უნდა გვეხამუშებოდეს რაჭის სინამდვილეში ძველეგვიპტური ტოპონიმების არსებობა. და კიდევ: ჩვენს მომდევნო წერილში სხვა საინტერესო ამბებსაც მოვუხმობთ, იმ უწერის ჩათვლით, რომელიც წინა ნარკვევის თავში ვახსენე.





დიუბუა დე მონპერიეს თვალით დანახული ღები და გლოლა

ხის ცათამბჯენს ააშენებენ

შვეიცარიაში, ქალაქ ვინტერტურში, ხის ცათამბჯენს – Rocket&Tigerli-ს ააშენებენ. ის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხის შენობა იქნება. შენობა ოთხი, სხვადასხვა სიმაღლის კორპუსს მოიცავს, ერთ-ერთი მათგანის სიმაღლე 100 მეტრი იქნება. ამჟამად, ყველაზე მაღალი ხის შენობა ნორვეგიაში მდებარე მიოსტორნეტის კოშკია, რომლის სიმაღლეც 85.4 მეტრია. ახალ, შვეიცარიულ პროექტზე დანიური ბიურო Schmidt Hammer Lassen-დან მუშაობენ არქიტექტორები, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად. ვარაუდობენ, რომ ხის ცათამბჯენი 2026 წლისთვის აშენდება. მას ყოფილი სარკინიგზო ქარხნის ადგილას განათავსებენ, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ სივრცეს, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს, რესტორანსა და ბარს, სავაჭრო ფართებსა და სასტუმროს.

„სპაიდერმენის“ ფანი რეკორდსმენი გახდა

აშშ-ის მცხოვრებმა, რამირო ალანისმა, კინოთეატრში ერთი და იგივე ფილმის ნახვების რაოდენობით, რეკორდი დაამყარა. გინესის რეკორდების წიგნის საიტზე ნათქვამია, რომ მან ბლოკბასტერს „ადამიანი-ობობა: გზა სახლისკენ არ არის“, 292-ჯერ უყურა. ამ კატეგორიაში ალანისი 2019 წელსაც გახდა რეკორდსმენი ფილმის – „შურისმაძიებლები: ფინალი“ ნახვებით. ორი წლის შემდეგ მისი შედეგი ფრანგმა არნო კლიაინმა გააუმჯობესა, რომელმაც „კამელოტი: მეფის დაბრუნება“ 204-ჯერ ნახა. რეკორდების წიგნის მიხედვით, მონაწილემ ფილმი კინოთეატრში უნდა ნახოს მთლიანად, ტიტრების ჩათვლით, არ უნდა გავიდეს დარბაზიდან და არ ისარგებლოს სმარტფონით. წესების დარღვევის გამო, ალანისს ფილმის 11 ნახვა არ ჩაუთვალეს.

მიკი რურკმა ქონება უკრაინელს უანდერძა

ამერიკელმა მსახიობმა, მიკი რურკმა გადაწყვიტა, მთელი თავისი ქონება, სიკვდილის შემდეგ, მის დამხმარეს, უკრაინელ დმიტრი კორნეიჩუკს დაუტოვოს. ყველაფერს დიმას ვუტოვებ, აბსოლუტურად ყველაფერს, – განაცხადა მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში. სიკვდილის არ მეშინია, თავად პროცესის შიში მაქვს, – ამბობს 69 წლის რურკი. უკვე რვა წელია, რაც კორნეიჩუკი ჰოლივუდელ ვარსკვლავთან მუშაობს. ცნობილია, რომ დმიტრი უკრაინაში, ტელევიზიაში მუშაობდა. ამერიკაში ჩასვლისას, სამსახური ვერ იშოვა, რურკი კი შემთხვევით გაიცნო, როცა ის ასისტენტს ეძებდა. რვაწლიანი თანამშრომლის პერიოდში, მამაკაცები დამეგობრდნენ.

„ჯოჯოხეთის კარიბჭე“ გაიხსნა

უჩვეულო მოვლენის მოწმენი გახდნენ ბერიესის ტბის მნახველები, რომელიც კალიფორნიაში, ნაპას ხეობაში მდებარეობს. წყლის ზედაპირზე კოლოსალური – 22-მეტრიანი დიამეტრის ორმო გაჩნდა, რომელსაც ადგილობრივი მედიის ჟურნალისტებმა „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ დაარქვეს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, უცნაურ მოვლენას გასაგები ახსნაც აქვს. საქმე ის არის, რომ ტბის ფსკერზე გვირაბია, რომლის სიგანე 22 მეტრია, სიგრძე კი – 75 მეტრი. ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გაიყვანეს. გვირაბი მაშინ იხსნება, როცა წყლის დონე ტბაში თითქმის ხუთ მეტრს აღწევს. ის დრენაჟის ფუნქციას ასრულებს. ბერიესში წყლის მოცულობის ზრდის მთავარი მიზეზი კი ძლიერი სეზონური წვიმებია.

კბილის ჯაგრისი გადაყლაპა



44 წლის ტაივანელმა ქალმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, შემთხვევით გადაყლაპა კბილის 18-სანტიმეტრიანი ჯაგრისი, რაც სპეციალისტების შეფასებით იმის ბრალია, რომ მას არასწორი კუთხით იყენებდა. ქალი სამსახურში აგვიანებდა და რაკიღა დაღლილიც იყო, ექიმთან მაშინვე არ წავიდა. მიუხედავად ამხელა დისკომფორტისა, მან მთელი დღე იმუშავა, სამედიცინო დახმარებისთვის კი კლინიკას მხოლოდ სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მიაკითხა. პაციენტს რენტგენი გადაუღეს, მაგრამ ჯაგრისი არ გამოჩნდა. ენდოსკოპიამ კი აჩვენა, რომ უცხო სხეული საყლაპავში იყო გაჩხერილი, მის გარშემო ქსოვილში ანთებითი პროცესი იყო დაწყებული. ექიმების თქმით, კბილის ჯაგრისს კუჭში რომ ჩაეღწია და იქ გაჭედილიყო, დიდი ალბათობით, მას გახეთქავდა. პაციენტს გაუმართლა და ის უცხო სხეულისგან ქირურგიული ჩარევის გარეშე გაათავისუფლეს.

ძვირფასი ვიოლინო ნაგავში იპოვა

საფრანგეთის დედაქალაქში, ნაგვის ურნასთან, ერთმა ქალმა ძვირფასი ვიოლინო იპოვა. ინსტრუმენტის ღირებულება 100 ათას ევროს შეადგენს. ის გასულ წელს, ელისეს მინდვრების ორკესტრის მუსიკოსს, ენრიკოს ტედეს მოპარეს, როცა ის მატარებლით გასტროლებზე მიემგზავრებოდა. როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, ქურდმა ანტიკვარული ვიოლინოს მყიდველი ვერ იპოვა, რადგან ის ადვილად ამოსაცნობია – ინსტრუმენტი XIX საუკუნის ვენეციელი ოსტატის, ჯულიო დეგანის ნახელავია. პოლიციამ ნაპოვნი ნივთი მუსიკოსს დაუბრუნა. მპოვნელმა კი ფულად ჯილდოზე უარი განაცხადა და მხოლოდ პარიზში ორკესტრის მომდევნო კონცერტის მოსაწვეები მიიღო საჩუქრად.

ჩაი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ერთკილოგრამიანი მწვანე ჩაი, რომელიც იაპონიის ცენტრალურ ნაწილშია მოყვანილი, აუქციონზე 1 960 000 იენად (15 500 დოლარად) გაიყიდა. ეს აბოლუტური რეკორდია მსგავსი აუქციონების ისტორიაში. ვაჭრობები ყოველწლიურად ტარდება აპრილში, ქალაქ სიძუოკაში, რომლის მახლობლადც არის განთავსებული ამომავალი მზის ქვეყნის ჩაის საუკეთესო პლანტაციები. დეგუსტაციის შემდეგ, სასმელის მცოდნეებმა აღნიშნეს, რომ რეკორდულ ფასად ნაყიდი მწვანე ჩაი უნიკალური ინტენსიური გემოთი და არომატით გამოირჩევა. ზოგადად, იაპონია ცნობილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აუქციონებით, სადაც ფასების არაერთი რეკორდი დაფიქსირებულა.

ხეებს ელ-ფოსტა გაუხსნეს

ავსტრალიაში, მელბურნის საქალაქო სამსახურმა ყოველ ხეს საკუთარი ელექტრონული მისამართი შეუქმნა. ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ქალაქის მცხოვრებლებმა შეძლონ კონკრეტული ხის პრობლემები მიაწოდონ ხელისუფლებას, მაგალითად, გამხმარი და საშიშად ჩამოკიდებული ტოტების შესახებ. Urban Forest-ის მონაცემთა ბაზა ქალაქის მომსახურების ჩვეულებრივი ციფრული სისტემა უნდა ყოფილიყო, თუმცა ბევრმა მელბურნელმა ხეებისთვის წერილების წერა დაიწყო, სადაც მათ მიმართ პატივისცემას, სიყვარულსა და აღფრთოვანებას გამოახატავენ. აქაურ ხეებს წერილები შორეული მოძმეებისგანც მოსდით.

მანქანა უმტკივნეულო სიკვდილისთვის

ავსტრალიელმა ექიმმა ფილიპ ნიტშკემ, რომელიც ევთანაზიის მომხრეა, ჰოლანდიელ ინჟინერ ალექსანდრ ბანიკთან ერთად, მანქანა-კაფსულა შექმნა, სახელწოდებით – Sarco. ის უიმედო ავადმყოფებს სწრაფად და უმტკივნეულოდ სიკვდილში დაეხმარება. თავად მოწყობილობა სამგამზომილებიან პრინტერზე იბეჭდება. ის მოსახსნელი კაფსულისა და თხევადი აზოტით სავსე ბოცასგან შედგება. აპარატში ათავსებენ პაციენტს, შეჰყავთ ოთხნიშნა სააქტივაციო კოდი და კაფსულის შიგნით თხევადი აზოტი იწყებს შესვლას. სიკვდილი უკვე რამდენიმე წუთში ფიქსირდება, ჟანგბადის უკმარისობის გამო. ამ დაახლოებით ხუთწუთიანი პროცედურის შემდეგ, კლიენტს შეუძლია ამ კაფსულითვე დაიმარხოს, თუკი ამის სურვილი ექნება. მოწყობილობის ავტორების თქმით, „სიკვდილის მანქანაში“ არის „პანიკის ღილაკი“, თუკი პაციენტი იმ მომენტში გარდაცვალებას გადაიფიქრებს. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი ტექნოლოგიით შვეიცარია დაინტერესდება, რადგან იქ 50-ზე მეტი კლინიკაა, სადაც ევთანაზია დაშვებულია.

ახალი წამალი კიბოს წინააღმდეგ

ამერიკელმა ონკოლოგებმა შეძლეს ისეთი ნაერთის მიღება, რომელიც ბლოკავს სიმსივნური უჯრედების გადაადგილებას ორგანიზმში. სწავლულებმა ორეგონის უნივერსიტეტიდან, შექმნეს წამალი, რომელიც საწყის სტადიაზე კიბოს ოთხი სახეობის გავრცელებას ბლოკავს. ახალი პრეპარატი – KBU2046, ეფექტიანად მოქმედებს სარძევე და წინამდებარე ჯირკვლის, ასევე ფილტვისა და სწორი ნაწლავის კიბოს დროს. ის უკვე გამოსცადეს მღრღნელებზე – წამალმა შეაჩერა მეტასტაზები და შეამცირა ძვლის დაშლა. ცდების შემდეგი ეტაპი კლინიკურია და თუ ისიც წარმატებით ჩაივლის, ავტორები იმედოვნებენ, რომ სულ მალე, ახალი პრეპარატით ადამიანების სიცოცხლეს გადაარჩენენ.

წვეულების გამო თანამშრომლებს უჩივლა

აშშ-ში, კენტუკის შტატში მდებარე კომპანია Gravity Diagnostics-ის ყოფილმა თანამშრომელმა, კევინ ბერლინგმა საკუთარ დამსაქმებელს სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ მთელმა ოფისმა, მას დაბადების დღე მიულოცა. მამაკაცმა კოლეგები წინასწარ გააფრთხილა, რომ მისთვის, სხვა თანამშრომლების მსგავსად, არანაირი დღესასწაული არ მოეწყოთ, რადგან შფოთვითი აშლილობა აქვს და ყურადღების ცენტრში ყოფნა სტრესში აგდებს. მაგრამ კოლეგებმა იუბილარის თხოვნა არ გაითვალისწინეს, შესვენებაზე მას პატარა წვეულება მაინც მოუწყვეს და დაბადების დღე მიულოცეს. ისინი ბერლინგისგან ასეთ მძიმე რეაქციას არ მოელოდნენ: იუბილარს პანიკური შეტევა დაეწყო, ოფისიდან გაიქცა და თავი საკუთარ ავტომობილს შეაფარა. ცოტა დაწყნარებულს და უკან დაბრუნებულს თანამშრომლებმა უსაყვედურეს, რომ „დღესასწაული ჩააშხამა“, მოგვიანებით კი კევინი სამსახურიდანაც გაუშვეს. სასამართლომ კომპანიას ბერლინგისთვის 450 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა: 300 ათასი – მისთვის მიყენებული ემოციური სტრესის გამო, 150 ათასი კი – ხელფასის ასანაზღაურებლად.

ხორცისმჭამელები დიდხანს ცოცხლობენ



მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ხორცის მოხმარებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის კავშირი შეისწავლა. სწავლულებმა ავსტრალიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და პოლონეთიდან, მსოფლიოს 175 ქვეყნის მცხოვრებლების მონაცემები გააანალიზეს. მათი თქმით, ხორცის ჭამასა და დაავადებებს შორის ირიბი კავშირია, რაც ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა და რამაც საფუძველი ჩაუყარა ვეგეტარიანებლობასა და ვეგანობას. არსებობს მოსაზრებაც, რომ ვეგეტარიანელები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან. მკვლევართა ჯგუფმა ეს ჰიპოთეზა შეამოწმა და გაარკვიეს, რომ ნახშირწყლოვანი კულტურებიდან (მარცვლეული და ბოლქვოვნები) ენერგიის მოხმარება არ იწვევს სიცოცხლის გახანგრძლივებას. პირიქით, ხორცის ზომიერი მოხმარება უფრო უკავშირდება დღეგრძელობას. ადამიანი ხორციან საკვებს მიჩვეულია და მას თითქმის ორი მილიონი წელია მოიხმარს, – აცხადებენ მკვლევარები. ნახშირწყლოვან პროდუქტებს კი გაცილებით ნაკლები კვებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ხორცს. ხორცში არსებული კომპონენტები ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას.

სასიკვდილო ვახშამი განაწყენებული მზარეულისგან

ინდოეთის ერთ-ერთი მცხოვრები ქალბატონი იმის გამო დააპატიმრეს, რომ ნათესავების გამუდმებული დაცინვით განაწყენებულმა, ისინი მოწამლული ვახშმით გამოკვება. 23 წლის პრადნია სურვეიზის სასიკვდილო ვახშმის შედეგად, მისი ხუთი ნათესავი გარდაიცვალა. გოგონამ აღიარა, რომ ზოგიერთ კერძში გაურია ფხვნილი, რომელსაც გველების დასახოცად იყენებენ. სამართალდამცავების თქმით, სურვეიზი ქმრისა და ოჯახის იმ წევრების მოკვლას აპირებდა, რომლებიც ორი წლის განმავლობაში, გამუდმებით მასხრად იგდებდნენ მის კულინარიულ შესაძლებლობებს. ვახშამზე, რომელიც დამნაშავის ახლობელმა მოაწყო, 120 ადამიანი იყო მიწვეული. მათგან 88 მოგვიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. გარდაცვლილთაგან სამი ბავშვი იყო. პოლიციაში ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ, სურვეიზმა აღიარა, რომ მკვლელობა განზრახ ჩაიდინა.

საპატარძლოს გამოსყიდვა აკრძალეს

ჩინეთის ჰენანის პროვინციაში, საპატარძლოს გამოსასყიდად, დიდი თანხის გადახდა მის მონობაში გაყიდვას გაუთანაბრეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განჩინება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, მზითევი, რომელსაც ჩინეთში, გოგოს მშობლებს სიძის მხარე უხდის, 20 ათას იუანზე (3 ათასი დოლარი) ძვირი არ უნდა იყოს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, გამოძიება ჩატარდება, გარიგება კი ადამიანებით ვაჭრობად და თაღლითობად ჩაითვლება. ხელისუფლება დაარეგულირებს ქორწინების პროცესსაც: სუფრას, მის წევრებს და მანქანების რაოდენობას. ადგილობრივი ჩინოვნიკების თქმით, ასეთი ღონისძიებებით აღკვეთენ თაღლითობას, რომელიც პატარძლის დიდ გამოსასყიდს უკავშირდება.

თეთრი ღვინო ქალებს აბედნიერებს

ესპანელმა სწავლულებმა მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან გარკვიეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, როცა თეთრ ღვინოს მიირთმევენ. ჩატარებული კვლევებისას დადგინდა, რომ ხილისა და ყვავილოვანი თეთრი ღვინოები აძლიერებს ისეთ ემოციებს, როგორებიცაა სიხარული და ბედნიერება. წითელი ღვინის მოხმარება კი, შესალოა, უკავშირდებოდეს აგრესიას და დანაშაულის გრძნობას. ასეთი დასკვნების გაკეთება სპეციალისტებმა ექსპერიმენტის შემდეგ შეძლეს, რომელშიც 200-ზე მეტი ქალბატონი მონაწილეობდა. მათ ექვსი თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო დააგემოვნეს და ამ სასმელებით მიღებული ემოციები აღწერეს. შედეგად გაირკვა, რომ ბედნიერების შეგრძნებას ყველაზე მეტად თეთრი ღვინო იწვევს.

აქლემის რძე ბავშვთა საკვებში

კომპანიამ არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან Camelicious, რომელიც აქლემის რძისგან 40-ზე მეტი სახეობის პროდუქტს აწარმოებს, კიდევ ერთი სიახლე წარადგინა ამ ინგრედიენტის გამოყენებით – ეს ბავშვთა კვებაა. ფირმის წარმომადგენლების განცხადებით, ის პატარების ჯანმრთელობისთვის სასარგებლოცაა და უსაფრთხოც, ბავშვებს ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ენერგიას აძლევს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, აქლემის რძე თავისი უნიკალური შემადგენლობით გამოირჩევა – ის ათჯერ უფრო მეტ რკინასა და 3-5-ჯერ მეტ „ცე“-ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ძროხის რძე. ამასთან, ცხიმიანობა 2-ჯერ ნაკლებია. არაბი სპეციალისტების თქმით, ისინი ცდილობენ შეამცირონ შაქრის შემცველობა საკუთარ პროდუქციაში, რათა ჯანმრთელობისთვის კიდევ უფრო სასარგებლო გახდეს.

„შოკოლადის“ წიწაკა ყავით

კანადურმა კომპანია – Zing! Healthy Foods ბულგარული წიწაკის მეტად უჩვეულო სახეობა გამოიყვანა, რომელიც გამოირჩევა შოკოლადივით ფერითა და უჩვეულო სიტკბოთი – ყავის ნოტებით. მიუხედავად ამ არასტანდარტული გემობრივი თვისებებისა, წიწაკის ვიტამინური შემადგენლობა უცვლელი დარჩა – მასში კვლავ დიდი რაოდენობითაა „ცე“-ვიტამინი და ასევე, მეტად იშვიათი „პე“ვიტამინი, რომლის წყალობითაც აითვისება ასკორბინის მჟავა. ცნობილია, რომ „შოკოლადის“ წიწაკა სათბურებში მოჰყავთ და პრემიუმ-კლასის პროდუქტად მიიჩნევა.

კბილების სრული აღდგენა შესაძლებელია

იაპონელმა სწავლულებმა ჰოკაიდოს უნივერსიტეტიდან, კბილების მკურნალობის უნიკალური ტექნოლოგია შეიმუშავეს. მათ სპეციალური ქიმიური ნაერთი გამოიგონეს, რომელსაც საფუძვლად უდევს ცილები – კოლაგენი და ფოსფოფორინი. ექსპერიმენტის მსვლელობისას, მედიკოსებმა ფხვიერი ცილოვანი მასა საცდელი ძაღლის კარიესით დაზიანებულ კბილში მოათავსეს. სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, მეცნიერებმა დენტინის (ნივთიერება, რომელიც კბილის საფუძველს ქმნის) სრული აღდგენა დააფიქსირეს. სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან, აპირებენ, ნივთიერების გამოცდა ადამიანებზე მოკლე ვადებში ჩაატარონ. სავარაუდოდ, ახალი ნაერთის პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელი უკვე ხუთი წლის შემდეგ გახდება.

მძარცველები რჩევებს ექსტრასენსისგან იღებდნენ

იტალიაში, ქალაქ გენუის პოლიციამ სერიული მძარცველები დააკავა, რომლებიც ადგილობრივ სუპერმარკეტებს ძარცვავდნენ. დანაშაულის ჩადენამდე კი, ისინი დასახმარებლად მედიუმს მიმართავდნენ, თითქოსდა, ძარცვისთვის უფრო ხელსაყრელ დღეს ადგენდნენ. სამართალდამცველების თქმით, დაკავებულები ნარკომანები არიან და ახალი დოზებისთვის ფულის საშოვნელად ქურდობდნენ. ექსტრასენსი მათ კონსულტაციას უწევდა, ზოგჯერ ტელეფონით, თუმცა, აცხადებს, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა ბოროტმზრახველების ჩანაფიქრზე. ამბობენ, რომ მედიუმი მათ სიზმრებს „შიფრავდა“ – მას უნდა განესაზღვრა, ესა თუ ის თარიღი ფულის შოვნის შესაძლებლობას იძლეოდა თუ არა. პოლიციელების თქმით, ბოლო ძარცვის წინ, ქურდებს დაესიზმრათ, რომ თმაზე ცეცხლი ეკიდათ. მედიუმმა მათ გამდიდრება უწინასწარმეტყველა, რეალურად კი ისინი ციხეში აღმოჩნდნენ.

პლასტირი ბეკონით, ვეგანებისთვის



ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ირლანდიურ ვეგანურ სტარტაპთან ერთად, უნიკალური პლასტირი შექმნეს, რომელიც ვეგეტარიანელებს ხორცისადმი მიდრეკილების დაძლევაში უნდა დაეხმაროს. ხელზე მიწებებული პლასტირი ბეკონის სურნელს უშვებს. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ სუნს შეუძლია საჭმლისადმი მიდრეკილება დაძლიოს. „ჩვენი ყნოსვა მჭიდროდ უკავშირდება გემოს შეგრძნებას. ამიტომ, ბეკონის არომატის შესუნთქვა ადამიანს აფიქრებინებს, რომ მას მიირთმევს. შესაძლოა, დანაყრების გრძნობაც კი გაუჩინოს“, – ამბობენ მკვლევარები. ისინი იმედოვნებენ, რომ პლასტირი ხორცისადმი მიდრეკილების დაძლევაში იმ ადამიანებს დაეხმარება, რომლებმაც ვეგეტარიანელობა ან ვეგანობა გადაწყვიტეს. ჯერჯერობით, პლასტირი გაყიდვაში არაა – ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში, მასზე ტესტირება კიდევ ჩატარდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.